ს. ს. ს. რ. საქ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

შაბათი, 28 თებერვალი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 48 (1203)

დღიური

— თბილისში საბჭოთა კავშირის ცაკის სესიაზე უკვე ჩამოვიდნენ ზოგიერთი დეპუტატები. ამხ. რიკოვი, ჩიჩერინი და რაკოვსკი გზაში არიან.

— 26 თებერვლიდან იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება შევიდა ძალაში.

— ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს დელეგაცია რუს. პროფკავშირთა საბჭოს დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

„კომუნისტი“

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

„კომუნისტი“-ს კანტორა

ღია იქნება

ხელისმოწერის მისაღებად

კვირას 10 საათიდან 3 საათამდე.

იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

დღეს ჩვენ ვათავსებთ იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების სრულ ტექსტს. ეს ხელშეკრულება უკვე დამტკიცებულია ორივე მხარის მიერ, როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობის, ისე იაპონიის მთავრობის მიერ.

იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოების პრესამ, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში ეწევიან მტაცებლურ პოლიტიკას, ვრცელი ალიაქოთი ასტეხა ამ შეთანხმების გამო. ლაპარაკობდენ სამხედრო კავშირის დადებაზე ჩვენსა და იაპონიას შორის, ახალ სამხედრო კოალიციის შესაძლებლობაზე, გარდა ორ ხსენებულ ქვეყნის, ჩინეთის და გერმანიის მონაწილეობით.

ყველამ იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე გადაჭრით წინააღმდეგია საიდუმლო დიპლომატიის. ისიც ცნობილია, რომ ჩვენ, ყოველთვის გულწრფელად ვართ მოწყურებული საყოველთაო მშვიდობიანობას, რომ არ გავერევით იმპერიალისტურ კომბინაციებში.

ხოლო თუ ევროპის იმპერიალისტებმა მაინც მორთეს განგაში ხსენებული შეთანხმების გამო, ეს აიხსნება ერთი იმით, რომ ისინი ყველას და ყველაფერს თავისი საზომით უდგებიან და ომის განზრახვებს ჰპოულობენ იქ, სადაც ნამდვილი მშვიდობიანობის მისაღწევი ნაბიჯებია გადადგმული; შემდეგ: ამით მათ სურთ დამალონ თავისი სამხედრო მზადება და კომბინაციები და მშრომელთა ყურადღება სხვა საგანზე მიაპყრონ.

მაგრამ ამავე დროს ცხადია, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირ შორის შეთანხმების დადება თავის თავად ლახვარს სცემს მსოფლიო იმპერიალისტებს და ერთიანად ანგრევს მათ ყაჩაღურ გეგმებს ჩვენი რესპუბლიკების წინააღმდეგ და შორეულ აღმოსავლეთში, რომელიც (შორეული აღმოსავლეთი) კარგახანია გადაქცეულა მათი ექსპლოატაციის და შეხლა-შემოხლის ასპარეზად.

იგი ამტკიცებს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობას. ამის შემდეგ უფრო მკვიდრი ხდება ჩვენი შეთანხმება ჩინეთთან. ამ ხელშეკრულების დადებასვე რამდენიმედ მიეწერება ამერიკაში ბოლო დროს გაძლიერებული მოძრაობა საბჭოთა კავშირის ცნობის და მასთან ნორმალური ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ. ეს გარემოება თავის მხრივ ადრე თუ გვიან, ეჭვი არ არის, საგრძნობ გავლენას მოახდენს ჩვენდამი მტრულად განწყობილ ინგლისზე და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებზედაც და იძულებულს გახდის მათ „საერთო ენა“ გამონახონ ჩვენთან მოლაპარაკების დროს.

გარდა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისა, ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კერძოდ იმ მხრივ, რომ იგი ამყარებს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ოლქებში მშვიდობიანობას და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს ხელი მოკიდოს ამ, ბუნებით მეტად მდიდარ მხარის აღორძინებას.

ხელშეკრულების თანახმად, იაპონია ცლის საბჭოთა კავშირის იმ ტერიტორიას, რომელიც მას დღემდე ოკუპაციით ჰქონდა დაკავებული. ბოლო დრომდე იაპონია, როგორც ვიცით, განაგრძობდა „ჟიუტობას“. მაგრამ საბჭოთა კავშირის სიძლიერემ, აგრეთვე თვითონ იაპონიის გართულებულმა საერთაშორისო და შინაურმა მდგომარეობამ „მოაპუვიანა“ იგი და ხელი აღებინა ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკის წარმოებაზე.

უკანასკნელ ხანებში იაპონია პოლიტიკურ იზოლიაციაში მოექცა. ამერიკამ და ინგლისმა შეკრეს ბლოკი იაპონიის გასანაპირებლად და მასთან საბრძოლველად.

ამავე დროს იაპონიის მრეწველობა განიცდის კრიზისს, მას განსაკუთრებით ესაჭიროება ნავთი, ნახშირი და სხვა ისეთი საგნები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება.

ასეთ პირობებში მას უნდა დაედვა შეთანხმება საბჭოთა კავშირთან, რაც უზრუნველყოფს მის „ზურგს“ ინგლის-ამერიკასთან მომავალ შესაძლებელი ომის დროს და აგრეთვე ორივე მხარისათვის მისაღებ პირობებში დაამყარებს მათ შორის ეკონომიურ თანამშრომლობას.

ამიტომ გასაგებია, რომ ხელშეკრულების დადებას დიდი სიხარულით შეხვდენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები, არამედ იაპონიის მოსახლეობაც.

ჩვენი მთავრობა თავის მხრივ ყოველ ზომას მიიღებს, რათა ხელშეკრულება სავსებით იქნეს ცხოვრებაში გატარებული და ორივე სახელმწიფოს შორის აღდგენილ იქნეს ნამდვილი მეზობლური ურთიერთობა. იაპონიის ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ იგიც ასევე მოიქცეს.

პირველი ნაბიჯი

(საბჭოთა მოსამსახურეების შრომის დისციპლინის შესახებ)

ამ დღეებში გამოქვეყნდება ა.-კ. შრომის კომისარიატის და მუშაგლეხთა ინსპექციის დადგენილება საბჭოთა მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ. ეს დადგენილება წარმოადგენს მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის პირველ ნაბიჯს.

ამ დადგენილების მიხედვით, საბჭოთა დაწესებულებებში აქამდე არსებულ ექვსი საათის სამუშაო დღის მაგივრად შემოღებულ იქნება 6 1|2 საათის სამუშაო დღე, რაც ნახევარ საათით ზრდის სამუშაო დღეს. ეს ნახევარი საათი შემოღებულია საჭმლის მისაღებად და დასასვენებლათ. აქამდე კი ამისათვის განსაკუთრებული დრო არ ყოფილა დანიშნული, ის ხდებოდა სამუშაო საათებში რითაც ფაქტიურად მცირდებოდა ექვსი საათის სამუშაო დღე.

სამუშაოზე გამოცხადება დადგენილებით სავალდებულოა დანიშნულ დროზე. არავითარი შეღავათიანი დრო—ათი, თხუთმეტი წუთი, რომელიც აქამდე არსებობდა, არ შეიძლება დაშვებულ იქნეს. მუშაობა უნდა იწყებოდეს ყველა საბჭოთა დაწესებულებებში სრულ ცხრა საათზე და თავდებოდეს 3 1|2 საათზე. სამუშაო საათების განმავლობაში თავის პირად საქმეებისათვის სხვაგან წასვლა აკრძალულია.

დადგენილება ავალდებულებს ადმინისტრაციას შემოიღოს მოსამსახურეთა სამუშაოზე გამოცხადების და სამუშაოდან წასვლის კონტროლი, როგორც ეს ხდება ქარხნებში (ნომრები, მარკები, სამუშაოს ტაბელები და სხვა). თვითეული მოსამსახურის სამუშაოზე მოსვლა და წასვლა უნდა ინიშნებოდეს ადმინისტრაციის მიერ.

ადმინისტრაციას საერთოდ ევალება მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ სამუშაო დღე დაწესებულებაში იქნეს გამოყენებული სრულად. სამუშაო დროის გაცდენისათვის აგებს პასუხს როგორც ის მოსამსახურე, რომელმაც გააცდინა დრო, ისე მისი უშუალო ადმინისტრატორი, რომელმაც დაუშვა თანამშრომლის სამუშაო დროის გაცდენა.

დაგვიანების, სამუშაო დროის გაცდენის და სამუშაოდან ადრე წასვლისათვის და საერთოდ დავალების აუსრულებლობისათვის ადმინისტრაციას უფლება აქვს დასაჯოს მოსამსახურე და კიდეც დაითხოვოს, თუ შრომის დისციპლინის დარღვევას განმეორებითი ხასიათი ექნა.

ფრიად საყურადღებო ახალ დადგენილებაში არის ის, რომ სამუშაოზე თავის დროზე გამოცხადება ვრცელდება აგრეთვე სპეცებზე და პასუხისმგებელ მუშაკებზედაც.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ტეხნიკური თანამშრომლების მუშაობა სავსებით დაკავშირებულია პასუხისმგებელ მუშაკების მუშაობასთან. ეს უკანასკნელნი უწევენ ხელმძღვანელობას ტეხნიკურ თანამშრომლების მუშაობას, აწესებენ მათ შორის საქმეს და თვალყურს ადევნებენ მის შესრულებას. თუ პასუხისმგებელი მუშაკი არ არის დაწესებულებაში, ის თანამშრომლები, რომელნიც მის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობენ, გაჩერებული არიან და არაფერს არ აკეთებენ. ამიტომ ძალიან მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებელ მუშაკების ტეხნიკურ თანამშრომლებთან ერთად სამუშაოზე დანიშნულ დროზე მისვლის წესის შემოღება.

აქამდე არსებული მდგომარეობა ამ მხრივ არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. დაწესებულების მუშაობა იწყებოდა 9 საათზე და პასუხისმგებელი თანამშრომლები და სპეცები კი მოდიოდენ 11—12 საათზე. ამის გამო ტეხნიკური თანამშრომლების ნამდვილი მუშაობა ფაქტიურად 11—12 საათზე იწყებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმას, რომ პასუხისმგებელ თანამშრომელთა რიცხვი ჩვენ ცენტრალურ დაწესებულებებში (სახალხო კომისარიატებში და სხვაგან) ტეხნიკურ მოსამსახურეებთან შედარებით საკმაოდ დიდი არის, ჩვენთვის ცხადი იქნება იმ წესის მნიშვნელობა, რომელიც შემოღებული იქნება ამ რამოდენიმე დღის ხსენებული დადგენილებით.

ზევით მოყვანილი წესი უნდა იქნეს ცხოვრებაში მტკიცედ გატარებული. არავითარი გამონაკლისი ამ მხრივ არ უნდა იქნეს დაშვებული. შრომის დისციპლინის დარღვევის დაფარვა და მისი უშედეგოთ დატოვება უნდა სათანადოთ ისჯებოდეს, ვინაიდან ის არსებითად მიმართული იქნება იმის წინააღმდეგ, რაც ეხლა ამოცანად აქვს დასახული საბჭოთა ხელისუფლებას. ამოცანად კი დასახული არის შრომის ნაყოფიერების გადიდება. ამ საკითხის გადაჭრაზე არის დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება ან დამარცხება.

ტომელი.

მიწის კოდექსის ზოგიერთ მუხლის შეცვლის საჭიროება *)

(ამხ. ი. ქვანიას წერილის გამო)

თავის წერილში (იხ. „კომუნისტი“ №№ 35, 36) ამხ. ქვანია ეხება ფრიად საყურადღებო საკითხებს, რომელთა გადაჭრას ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს.

მიწის კოდექსის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებით, ჩვენ, აგრარულ დარგში ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებს, გვაქვს ერთგვარი გამოცდილება, თვით სინამდვილეში ვეცნობით მის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. საჭიროა ცენტრში მოწვევა ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებისა, რათა მათ საერთო კრებაზე გაეზიარებიათ ერთმანეთისათვის თავიანთი დაკვირვებანი. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლას გაზეთის ფურცლებზე.

ამ მხრივ ამხ. ქვანიას თაოსნობას უნდა მივესალმოთ. მის მიერ წამოყენებული შესწორებანი მიგვაჩნია ძალიან შეწონილად და სავსებით მისაღებად. მხოლოდ ამ წერილში მე მინდა დამატებით მიუთითო კოდექსის სხვა მუხლებზედაც, რომელთა შესწორებას, ჩემი აზრით სინამდვილე გვიკარნახებს.

ავიღოთ ნორმის მიღების საკითხი. მიწის ნორმა ეტოვება ოჯახს. ოჯახად, თანახმად მუხლი 39-სა, ჩაითვლება: ა) ცოლ-ქმარი, ბ) შვილებიანი ქვრივი კაცი, ან ქალი და გ) უდედ-მამო ობლები. ასეთი ოჯახი შეიძლება იყოს რამოდენიმე ერთ კომლში. კომლი მიიღებს მიწის ნორმას ოჯახის რაოდენობის მიხედვით.

მაგალითად: თუ კომლში არის ოთხი ცოლიანი ან შვილებიანი ძმა, ასეთი კომლი მიიღებს ოთხ ნორმას; მაგრამ თუ არც ერთს ცოლი არა ყავს, მიუხედავად მათი ხნოვანებისა, —კომლს ეტოვება ერთი ნორმა.

შვილებიანი ქვრივი-კაცი ან ქალი ნორმას ღებულობს, უშვილო ქვრივი კი ცალკე ნორმას ვერ მიიღებს.

იბადება კითხვა: რამდენად სამართლიანია საკითხის ამნაირი გადაწყვეტა?

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა იცხოვრონ იმ ოთხმა ძმამ, რომლებმაც ერთი ნორმის მიღების შემდეგ შექმნეს თავიანთი ოჯახები. ან რა დააშავა იმ ქვრივმა, რომელსაც შვილი არა ყავს?

ამ მუხლს უნდა ყოველმხრივ შესწავლა და სათანადოდ შეცვლა, ვინაიდან მიწათმოწყობა თითქმის მაზეა დამოკიდებული.

მუხლი 65 ამბობს: „მიწის ნორმა ყოფილა მესაკუთრეს დაეტოვება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარი შრომით ეწევა მეურნეობას“. თუ მეურნე საკუთარი შრომით ამუშავებს მიწას, ნორმა მას უნდა დაეტოვოს, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა იგი ადგილობრივად. ამისათვის ამ მუხლიდან უნდა ამოიშალოს: „ცხოვრობს ადგილობრივ და“.

თანახმად მუხლი 48-სა, კომლის მიწები, კომლის შემადგენელ ოჯახთა და წევრთა შორის გაიყოფა იმ შემთხვევაში, უკეთუ თითოეულ განაყოფს შეხვდება არა ნაკლებ ნახევარი კანონიერი ნორმისა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიყოფა მხოლოდ მოძრავი ქონება.

მუხლი 49 კომლის მიწების გაყოფის მოთხოვნის უფლებას აძლევს იმ პირთ, ვისაც უკვე შეუსრულდა 18 წელი და პირადი შრომით მიუღია მონაწილეობა მეურნეობაში არა ნაკლებ 3 წლის განმავლობაში.

ეს ორივე მუხლი ხელსაყრელია ნორმაზე მეტი მიწის მქონე მეურნეთათვის, ვინაიდან მიწათ-მოწყობის მოლოდინში მათ ეძლევათ საშუალება, ფორმალური მხარის შესრულებით, დაანაწილონ თავიანთი მიწები წევრთა შორის მიწების შენარჩუნების მიზნით.

მუხლები 48 და 56 კომლს მიწების გაყოფის უფლებას არ აძლევს როცა თითოეულ განაყოფს ნახევარ ნორმაზე ნაკლები მიწა ხვდება. შეუძლიან მხოლოდ მოძრავი ქონების გაყოფა-განაწილება.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: კომლი შესდგება ორი ოჯახისაგან, კანონიერი ნორმა მათ არა აქვთ. ერთად ვერ მოთავსდნენ. აუცილებლათ საჭირო შეიქნა მათი გაყოფა. ვინაიდან მიწის გაყოფის უფლება მათ არა აქვთ, გაანაწილეს მოძრავი ქონება. ვსთქვათ, ერთ ოჯახს ხვდა სამზარეულო-სახლი, მეორეს—ოდა. სოფლათ სათადარიგო საფონდო მიწა არ არის. იბადება კითხვა: როგორი საშუალებას უნდა მიმართოს ასეთი მცირე მიწის მქონე კომლმა?

ეს მუხლები ავიწროვებენ. მხოლოდ მცირე მიწის მქონე გლეხს და მას, რაცგინდ მწვავედ დაუდგეს გაყოფის საკითხი კომლში, მიწის გაყოფის უფლება არ ეძლევა.

აუცილებლად საჭიროა ამ მუხლების შეცვლა, ვინაიდან გაყოფა სრულებით არ არის დამოკიდებული მიწის სიმცირე-სიდიდეზე.

მუხლი 58 ამბობს: „გაყრა, რომელიც რეგისტრაციაში შეტანილი არ არის, კანონიერად არ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში კომლი, რომელმაც ფაქტიურად დაანაწილა თავისი მიწა და ქონება, მაგრამ ეს გაყოფა არ იქნა დამტკიცებული რეგისტრაციით, ჩაითვლება მიწათ-მოწყობის და საფონდო მიწების განაწილების დროს ერთ გაუყოფელ კომლათ, ხოლო სახელმწიფო და სხვა გადასახადს, გამოსაღებს და ბეგარას თვითოეული განაყოფი ცალკე იხდის“.

ეს მუხლი სავსებით ეყრდნობა ფორმალურ მხარეს და თვით მომხდარ ფაქტს—სინამდვილეს ანგარიშს არ უწევს.

საჭიროა გაყრა, რომელიც ფაქტიურად მომხდარია, მაგრამ რეგისტრაციაში გატარებული არ არის, ვიცნოთ კანონიერად; მხოლოდ ის გაყრა, როდესაც ფორმალური მხარე დაცულია, მაგრამ სინამდვილეში ფიქტიურია, მიწების შენარჩუნების მიზნით,—უნდა ჩაითვალოს არაკანონიერად.

ამ მოკლე წერილში მე, რასაკვირველია, არ აღმინიშნავს ყველა ის ნაკლულევანებანი, რაც მიწის კოდექსს ახლავს. თუ ჩვენ ყოველწლიურად მოგვიხდა ამა თუ იმ მუხლის შეცვლაზე ლაპარაკი, ეს შექმნის კოდექსის გაგებაში არა მტკიცე მდგომარეობას. რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ახლავე აღნიშნულ იქნას ყველა დიდი თუ პატარა ნაკლულევანება და საბოლოოდ გადაწყდეს ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. ამისათვის, ვიმეორებ, აუცილებელია მოწვეულ იქნას ამ დარგში ადგილობრივად მომუშავე ამხანაგების თათბირი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, კოდექსის ყველა ნაკლულევანებებს გამონახავს და შეიტანს მასში საჭირო შესწორებებს.

ი. ჭანტურია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რ ე დ.

საკავშირო ცაკის წევრების ჩამოსვლა თბილისში

საუბარი ამხ. ა. ს. ენუქიძესთან

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი და მდივანი ამხ. ა. ს. ენუქიძე, რომელმაც ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის მნიშვნელობა

საკავშირო ცაკის მესამე სესიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის მჭიდრო კავშირის დამყარების საქმეში. ტფილისს—არა მარტო ფორმალურად, არამედ არსებითადაც ეძლევა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდი კავშირის ერთ-ერთი დედა ქალაქის მნიშვნელობა. მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების წევრები უშუალოთ გაეცნობიან ამიერ-კავკასიის ყოფაცხოვრებას და საჭიროებებს, რაც ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს იმ საკითხების სისწორით გადაჭრას, რომელიც ამიერკავკასიის ცხოვრებას ეხება.

გარდა ამისა, ამ სესიას მე ვაძლევ დიდ მნიშვნელობას იმ მხრივ, რომ იგი გაფანტავს ერთგვარ განწყობილებას ნაციონალისტებს შორის, კერძოთ, საქართველოში, რომელთაც დღემდის არ შეუძლიათ თავიდან მოიშორონ ის ყალბი აზრი, რომ საქართველო არ წარმოადგენს თანასწორ უფლებიან საკავშირო რესპუბლიკას.

და ბოლოს, სესიის ჩამოსვლას თბილისში ექნება ის მნიშვნელობა, რომ ჩვენი მთავრობა საჭირო დახმარებას აღმოუჩენს არაჩვეულებრივ ზამთრისა და მისი შედეგებისაგან დაზარალებულ ამიერ-კავკასიას.

გადაწყვეტილებანი, რომელიც ამ სესიაზე იქნება მიღებული,—მიღებული კი იქნება ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი,—ბიუჯეტის და ეკონომიურ მნიშვნელობის სხვა საკითხებზე, ჩააბამს ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოს საბჭოთა კავშირის საერთო პოლიტიკაში. ამიერ-კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები კი, რომელთაც საშუალება ეძლევათ დაესწრონ ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების საქმიან სხდომებს, დარწმუნდებიან იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შორის არსებობს ნამდვილი ძმური ურთიერთობა.

მესამე სესიის მთავარ საკითხს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ალექსი ივანეს ძე რიკოვის მოხსენება. თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი დაწვრილებით გააცნობს როგორც ცაკს, ისე ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის წარმომადგენლებს საბჭოთა ხელისუფლების შინაურ და საგარეო პოლიტიკას და აგრეთვე შეეხება იმ ღონისძიებებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა კავშირის სახალხო მეურნეობის აღორძინების და განმტკიცების საქმეში. ამ მოხსენებაში გათვალისწინებული იქნება შემდგომი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით ამხ. რიკოვი, შეეხება ისეთს საკითხებს, რომელიც უშუალოთ აინტერესებს ამიერ-კავკასიას და, კერძოთ, საქართველოს.

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთათვის, არამედ ჩვენი მეზობლებისათვისაც, აგრეთვე იქნება გაშუქებული ამხ. რიკოვის მოხსენებაში. ეროვნებათა კავშირი მათი კულტურული ძმობა და გაერთიანება უკვე საქმითაა განხორციელებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ეხლა ჩვენს წინაშე სდგას ძნელი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნულ გაერთიანებათა შორის ეკონომიურ თანამშრომლობის განვითარების და განმტკიცების შესახებ. ჩვენ უკვე გვაქვს ეს გამოცდილება ამიერ-კავკასიის მაშტაბით და მის შედეგების შესახებ ჩვენ მოვისმენთ ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის—ამხ. ორახელაშვილის მოხსენებაში.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენებას სესია მოისმენს უდიდესი ინტერესით. საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე პირველათ გადაიშლება ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების სურათი. სესია გაითვალისწინებს გზებს ამიერკავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ და აგრეთვე იმ ამოცანების, რომელთა გადაჭრა საჭიროა ახლო მომავალში ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა და ამ მშვენიერ მხარეში დასახლებულ ყველა ხალხთა ინტერესების მიხედვით.

საკავშირო ბიუჯეტის განხილვა პირველათ არის დასმული საკავშირო ცაკის სესიაზე. სესიაზე გადაწყვეტილი იქნება არა მარტო საერთო ფინანსიური პოლიტიკის საკითხები, არამედ გამორკვეული იქნება საბჭოთა კავშირის მთელი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკის კონკრეტული შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც საკავშირო ბიუჯეტი შედგენილია სწორად და უდეფიციტოთ როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, რასაც ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, ჩვენი ვალიუტის განმტკიცებამ და, მეორეს მხრივ, სწორმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და მრეწველობის მსხვილი დარგების აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამეურნეო გეგმის სწორათ შედგენამ.

ამ პოლიტიკის შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელია. ეს თავის მხრივ ამტკიცებს, იმას რომ მთელი ჩვენი სამეურნეო სისტემა სწორია ბიუჯეტის დეტალურათ განხილვა და კავშირის შემოსავლის განაწილება ნათლათ დაანახვებს ფართო მასების წარმომადგენლებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება შემოსავლის დიდ ნაწილს ხარჯავს უშუალოთ მუშების და გლეხების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, გლეხთა მეურნეობის და ჩვენი მრეწველობის აღსადგენათ, სახალხო განათლების გასაფართოებლათ, ჯანმრთელობის დასაცავათ და სხვა. წითელი არმიის შენახვით გამოწვეულ ხარჯებსაც აგრეთვე უშუალო მიზნათ აქვს მუშების და გლეხების ინტერესების დაცვა და საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი აღმშენებლობის უზრუნველყოფა.

ჩვენი სახალხო მეურნეობის გაუმჯობესება გაადიდებს საბჭოთა სახელმწიფოს შემოსავალს და ქალაქის და სოფლის წარმოების გაფართოებით და კულტურულ-განმანათლებელი საჭიროებების დაკმაყოფილებით გამოწვეული ხარჯები ყოველ წლიურათ გაიზრდება.

სესიაზე, სხვათა შორის, განზრახულია დასმული იქნეს საკითხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ; ამ საკითხის გადაწყვეტა უშუალოთ ეხება აგრეთვე ამიერ-კავკასიის მეურნეობის ინტერესებსაც.

სესიის შემდეგ საკავშირო ცაკი ესტუმრება სომხეთს, აზერბეიჯანს და ამიერ-კავკასიის სხვა მნიშვნელოვან პუნქტებს, სადაც უშუალოთ გაეცნობა ამ რესპუბლიკებს.

საერთოდ—სთქვა დასასრულ ამხ. ენუქიძემ—უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო ცაკის წევრები მეტათ დაინტერესებული არიან იმით, რომ უშუალოთ გაიცნონ ამიერ-კავკასია.

საკავშირო ცაკის წევრებთან

დღეს თბილისი მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყურადღების ცენტრად იქცა: აქ იკრიბებიან საბჭოთა კავშირის მრავალფეროვან ხალხთა წარმომადგენელნი—უმაღლეს ორგანოს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

გუშინ დილით უკვე ჩამოვიდნენ ცაკის წევრები საბჭოთა რუსეთიდან, უკრაინიდან, თათართა რესპუბლიკიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ეწვია რამოდენიმე მათგანს და ქონდა მათთან საუბარი, უმთავრესად ცაკის სესიის თბილისში მოწვევის მნიშვნელობის შესახებ.

ამხ. ფეოდოროვი

ამხ. ი. ფეოდოროვი არის გლეხი იაროსლავის გუბერნიიდან. მაღალი ტანის, ცოცხალი ბუნების და ენამეტყველი მოსაუბრე. ლაპარაკობს მარტივი დაწმენდილი გლეხური ენით ადვილად გასაგებად და გარკვეულად.

ეტყობა, რომ ბრძოლაში გამობრძმედილი მუშაკია. მას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მნიშვნელობა აქვს თბილისში ცაკის სესიის მოწვევას.

რუსეთის ხალხი—სოფლელი მასა არ იცნობს თავის თანამოკავშირე ერებს,—ამბობს ამხ. ფეოდოროვი,— ხოლო ჩვენი დაძმობილება არ შეიძლება ისე, თუ დაახლოებით არ გავეცანით ერთი-მეორის ცხოვრებას, ჩვენი თვალით და ყურით არ დავინახეთ და არ მოვისმინეთ ერთი-მეორის ჭირვარამი. ცაკის სესიის მოწვევა ჩემი ღრმა რწმენით—ერთის მხრივ ამაგრებს საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანობის საძირკველს და მეორეს მხრივ აცნობს და უახლოვებს ერებს ერთი მეორეს.

მუსტაფა გალიევი

ამხ. მუსტაფა გალიევი არის აგრეთვე გლეხი—საკავშირო ცაკის წევრი თათართა ავტონომიური რესპუბლიკიდან. იგი დაბალი ტანისაა—ტიპიური თათრული სახით. ლაპარაკობს სუფთა რუსული ენით, ოდნავ შესამჩნევი თათრული აქცენტით. ლაპარაკობს დაკვირვებულად. იგი აღტაცებით უყვება ჩვენს თანამშრომელს თავის სამშობლოზე, რომელიც მისი გადმოცემით, გასაბჭოების შემდეგ დაადგა კულტურული და ეკონომიურ აღორძინების გზას. დღეს ყაზანის თათრები ჩაბმულნი არიან საერთო აღმშენებლობაში, სცხოვრობენ ძმური კავშირით ადგილობრივ რუს მოსახლეობასთან ერთად და მათთან ერთად იმედიანად შეჰყურებენ საბჭოთა კავშირის მომავალ გამარჯვებას.

ცაკის სესიის თბილისში მოწვევა—საუკეთესო შემთხვევაა, რომ მეფური რუსეთის დაჩაგრულ ერები პირისპირ შეხვდენ ერთი მეორეს და საერთო ძალღონით გამონახონ წამალი თვითმპყრობელობისაგან მიყენებული ტკივილების განსაკურნავად. გადავაბდოთ ხელი-ხელს და მხარი მხარს და ყველა წინად დაჩაგრული ერები, საბჭოთა კავშირის დიდ ფერხულში ჩაბმულნი წავიდეთ წინ მომავალი გამარჯვებისაკენ,—დაასრულა თავისი საუბარი ამხ. გალიევმა.

ამხ. კუროჩკინი

— მე გლეხი ვარ,—კოსტრომის გუბერნიიდან, ვმუშაობ სოფლად,—ვუძღვი მეურნეობას და ამავე დროს მონაწილეობას ვღებულობ საბჭოთა მუშაობაში—განაცხადა ამხ. კუროჩკინმა. იგი ტანადათ მაღალია, ქერათმიანი, ცისფერი თვალებით, სტოვებს პრაქტიკული, საქმიანი კაცის შთაბეჭდილებას.

მისი სიტყვა—სოფლის საჭიროების გამომხატველია. მისი ენით ამიერკავკასიის ერებს დაელაპარაკება რუსი გლეხი.

ჩვენ გულახდილად მოვახსენებთ ჩვენს მოკავშირე ამიერკავკასიის მშრომელთ ჩვენს საჭიროებას, ჩვენი მუშაობის ამბავს, გამოცდილებას, ვიტყვით ჩვენს გაჭირვებას და დალხინებას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთსავე სიტყვას მოვისმენთ ჩვენსავე ბედში მყოფ მეზობლებისაგან, აზრების და გრძნობების გაზიარება, ერთი მეორისგან თავის ქვეყნის ამბის მოსმენა გაუმაგრებს ბურჯებს დიდი საბჭოთა კავშირის ერთა გასათანასწორებლად და გასაერთიანებლად გადებულ ხიდს.

ნ. ივანოვი

ამხ. ივანოვი მოხუცებული გლეხია. დიდი თეთრი წვერებით. საშუალო ტანისაა—ნამდვილი რუსი გლეხის გარეგნობით. აცვია ისე, როგორც იცვავს რუსი გლეხი: ხალათი, მაღალ ჩექმებში ჩალებული შარვალი, ზურგზე მოხურული აქვს რუსული ტულუპი. ლაპარაკობს ველიკორუსული დაუწმენდელი ენით.

გარეგნობით და ლაპარაკით იგი რუსი გლეხის ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელია. ეტყობა გამოცდილება და გლეხური კამჭრიახობა. მას ზედმიწევნით ეცოდინება რუსი გლეხის ცხოვრება.

იგი მუშაობს ამხ. მიხ. კალინინთან, რომელთანაც ხშირად დადიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები სხვადასხვა საჭიროებისათვის. გლეხი ნ. ივანოვი არის ამხ. კალინინის მრჩეველი. გლეხები უპირველესად მიმართავენ მას, იგი ყველაზე უფრო ადვილად გაუგებს მათ, მას დაჰყავს ისინი ამხ. კალინინთან, რომელსაც ამხ. ივანოვი გლეხებთან ერთად მოუთხრობს მათ საჭიროებაზე.

ამ საშუალებით,—ამბობს ამხ. ივანოვი, ჩვენ ვეცნობით რუსეთის სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებას, ჩვენი გლეხის გასაჭირსა და სატკივარს. უფრო ნაკლებათ ვიცნობთ ჩვენი კავშირის სხვა კუთხეების გლეხების ცხოვრებას. ჩვენი თბილისში ჩამოსვლა და ადგილობრივი გლეხების წარმომადგენლებთან გამოსაუბრება, დაახლოებით წარმოდგენას მაინც მოგვცემს მასზე, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელნი, გავიგებთ, თუ რა განსხვავება და მსგავსება არსებობს ჩვენი და მათი ყოფაცხოვრების შორის. დიდი სიხარულით და აღტაცებით მოველით ჩვენს, ადგილობრივ მცხოვრებთა შეხვედრას.

ამხ. ფირაგო

ამხ. პ. ა. ფირაგო ქარხნის მუშაა. მაღალი, წარმოსადეგი, ფოლადის სახე, ენერგიული გამომეტყველებით. იგი მუშაობს ვაზნების ქარხანაში.

— მე ვარ ქალაქ ულიანოვსკიდან (ყოფილ სიმბირსკიდან) ლენინის სამშობლო ქალაქიდან, ამაყად ამბობს ამხ. ფირაგო—და სწორედ ამიტომ ჩვენ—ულიანოვსკის მუშებს უფრო მეტად, ვიდრე სხვას, გვმართებს პირნათლად დავიცვათ და ავასრულოთ ვლადიმირ ილიჩის ანდერძი: გავამაგროთ და განვამტკიცოთ მუშების გლეხობასთან კავშირი და ძმობა-ერთობა ერთა შორის.

ცაკის სესიის თბილისში მოწვევა მე მიმაჩნია ლენინის ნაანდერძევი მცნების პრაქტიკულ განხორციელებად.

საბჭოთა კავშირში აღარ არსებობს დიდი და პატარა ერი: მიუხედავად რაოდენობისა, ისინი არიან ტოლნი და თანასწორუფლებიანნი. გაუმარჯოს ჩვენს პირისპირ შეხვედრას და გაცნობას!

აღტაცებით ამბობს ამხ. ფირაგო.

ამხ. სამურსკი

(დაღესტანის ცაკის თავმჯდომარე)

მე, როგორც ა|კ. რესპუბლიკების ხალხების მონათესავე ხალხის წარმომადგენელს, მახარებს და კმაყოფილების გრძნობით მავსებს ის გარემოება, რომ საკავშირო ცაკის სესია მოწვეულია საქართველოს და ა|კავკასიის დედა ქალაქ თბილისში,—ამბობს ამხ. სამურსკი.

თავის წარმომადგენლების სახით მთელი საბჭოთა კავშირი ინახულებს და გაეცნობა ჩვენ მხარეს, მოუსმენს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლებს, დაათვალიერებს და დააკვირდება მის კულტურულ ავლა-დიდებას. დაწვრილებით შეიტყობს მის საჭიროებას,—ამ მხრივ ცაკის სესიის თბილისში მოწვევას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. სესია დიდ ყურადღებას მიაქცევს იმ სტიქიურ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ა|კ. რესპუბლიკებს დიდი ზამთრის გამო.

მეორე მხრივ სესიის თბილისში მოწვევა ერთს ლახვარს კიდევ ჩასცემს მეორე ინტერნაციონალის რაინდებს, რომელნიც ძველ გზა-ჯვარედინზე გაჰკივიან რუსეთის მიერ პატარა ერების დაჩაგვრასა და დამონავებაზე!

შ. ვ.

როგორ ეგებებიან ამიერ-კავკასიის მშრომელნი ცაკის წევრებს

— ჩვენ ბევრი კარგი რამ გაგვიგონია ა|კავკასიის ერთა რაინდულ ღირსებებზე, მაგრამ ისეთ მხურვალე და გულთბილ შეხვედრას, რომელიც ჩვენ ვნახეთ ა|კავკასიის საზღვრებში შემოსვლისას, არ მოველოდით, —განაცხადეს ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საკავშირო ცაკის წევრებმა—გლეხებმა ამხ. ამხ. ფედოროვმა, გალიევმა და ფირაგომ.

— ყოველ სადგურზე გვხვდებოდენ მუშები, გლეხები, მოურიდებლად შემოდიოდნენ ჩვენთან ვაგონებში, გვეკითხებოდენ ჩვენი ქვეყნის ამბებს, გვაცნობდენ თავიანთ გულის ნადებს ძმურად, მეგობრულად, გვისურვებდენ ნაყოფიერ მუშაობას და ხანგრძლივ საუბრის შემდეგ გვემშვიდობებოდენ,—როგორც ძველი, დიდი ხნის ნაცნობი მეგობრები. მათი შეხვედრა ჩვენთან გვარწმუნებს, რამდენი საერთო ნათესაური გრძნობები და თვისებები გვქონია ჩვენ—სხვადასხვა ერის მშრომელთა შვილებს.

განსაკუთრებით მადლიერი არიან ამხანაგები თბილისის სტუმართ-მოყვარეობით.

— გადმოსულიც არ ვიყავით ვაგონებიდან, რომ წინ მოგვეგებნენ თბილისის მუშები, მოგვესალმნენ და მსწრაფლ გაგვაქანეს ჩვენთვის საგანგებოდ მომზადებულ ბინებზე.

ყველგან მხიარული, გულთბილი შეხვედრაა, განუსაზღვრელი აღტაცება და სიყვარული—უდიდესი კმაყოფილების გრძნობით ავსებს ჩვენს გულს.

თქვენი შეხვედრით გამოწვეული ჩვენი აღტაცება—გასცდება ჩვენს გულს და მას გაიზიარებს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი გლეხკაცობა,—განაცხადეს ცაკის წევრებმა.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ცაკის წევრებმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი, რომელსაც დიდი მადლობა გადაუხადეს სტუმრობისა და გამოსაუბრებისათვის.

გ. ნ.

საკავშირო მთავრობის და ცაკის წევრების გამომგზავრება

მოსკოვი, 27 თებერვალი. 26 თებერვალს მთავრობის წევრები, საბჭოთა კავშირის ცაკის და რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის წევრები გაემგზავრენ ცაკის მესამე სესიაზე თბილისში.

სპეციალური მატარებლით გაემგზავრენ: ამხ. ამხ. რიკოვი, ჩერვიაკოვი, ჩიჩერინი, რაკოვსკი, კუიბიშევი, ბრიუხანოვი, სმირნოვი, სვიდერსკი, კურსკი, სმილოვიჩი და სხვ. სულ ამ მატარებლით გაემგზავრა ასამდე კაცი.

ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის

(სრული ტექსტი)

მოსკოვი, 27 თებერვალი. ვაქვეყნებთ სრულ ტექსტს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ხელშეკრულებისა, რომელიც უკვე დამტკიცებულია ორივე მხარის მიერ.

შეთანხმება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის და იაპონიის ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირმა და იაპონიამ, მოისურვეს რა კეთილმეზობლური ურთიერთობის და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცება ურთიერთ შორის, გადასწყვიტეს დასდონ კონვენცია ამ ურთიერთობის მოწესრიგების ძირითად პრინციპების შესახებ და ამისათვის დანიშნეს თავის რწმუნებულებათ: საბჭოთა კავშირის ცაკმა—ლევ მიხეილის ძე კარახანი—საბჭოთა კავშირის ელჩი ჩინეთში; მისმა უდიდებულესობამ იაპონიის იმპერატორმა—კონკიტი იოშიზავა, საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ჩინეთში—„წმინდა განძის“ პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, რომლებიც, ერთმანეთისათვის სწორად და სათანადო ფორმით შედგენილ რწმუნების სიგელების წარდგენის შემდეგ, შეთანხმდენ შემდეგში:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდენ იმაში, რომ იმ დღიდან, როდესაც ეს კონვენცია ძალაში შევა, მათ შორის მყარდება დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა.

მუხლი 2.

საბჭოთა კავშირი თანხდება იმაზე, რომ 1905 წლის 5 სექტემბერს პორტსმუტში დადებული ხელშეკრულება ძალაში რჩება. მიღებულია დადგენილება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებები, კონვენციები და შეთანხმებები, გარდა ზემოაღნიშნულ პორტსმუტის ხელშეკრულებისა, რომლებიც დადებული იყო იაპონიასა და რუსეთს შორის 1917 წლის 7 ნოემბრამდი, გადასინჯული უნდა იქნეს კონფერენციის მიერ, რომელიც შეიკრიბება მომავალში ხელშეკრულების დამდებ მთავრობების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ისინი შეიძლება შეცვლილი ანდა გაუქმებული იქნეს, როგორც ამას მოითხოვს შეცვლილი პირო-

მუხლი 3.

ხელშეკრულების დამდები მხარეების მთავრობები შეთანხმდენ იმაზე რომ ამ კონფერენციის ძალაში შესვლის დღიდან ისინი შეუდგებიან 1907 წლის იმ კონვენციის გადასინჯვას, რომელიც თევზის ჭერას შეეხება; ამასთანავე მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა საერთო პირობებში ამ კონვენციის დადების დროიდან. ახალი, გადასინჯული კონვენციის დადებამდი საბჭოთა კავშირის მთავრობა დაიცავს 1924 წელში შემოღებულ პრაქტიკას, რომელიც შეეხება თევზის საჭერი მიდამოების იჯარით გეცემას იაპონიის ქვეშევრდომებზე.

მუხლი 4.

ხელშეკრულების დამდები მხარეების მთავრობები შეთანხმდენ იმაზე, რომ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ისინი შეუდგებიან ხელშეკრულების დადებას ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ თანახმად ქვემოჩამოთვლილ პრინციპებისა, ასეთი ხელშეკრულების დადებამდი კი ურთიერთობას ორივე ქვეყნებს შორის აწესრიგებენ ეს პრინციპები:

1) თვითეული მხარის მოქალაქეები ანდა ქვეშევრდომები, თანახმად არსებული კანონებისა, უნდა სარგებლობდენ: მეორე მხარის ტერიტორიაზე შესვლის, მგზავრობის და დარჩენის სრული უფლებით, მათი სიცოცხლის და ქონების უშიშროების მუდმივი და სრული დაცვით.

2) თვითეული მხარე თავის ტერიტორიაზე, თანახმად არსებული კანონებისა, უფლებას ანიჭებს მეორე მხარის მოქალაქეებს ანდა ქვეშევრდომებს, იმ პირობით, თუ ასე მოიქცევა მეორე მხარეც, იქონიონ კერძო საკუთრება და ხელი მოკიდონ ვაჭრობას, ზღვაოსნობას, სარეწავებზე მუშაობას და სხვა მშვიდობიან საქმეს.

3) დარღვეული არ უნდა იქნეს არც ერთი მხარის უფლება იმის შესახებ, რომ მან თავისი საკუთარი კანონებით მოაწესრიგოს საერთაშორისო ვაჭრობის სისტემა ამა თუ იმ ქვეყანაში, მაგრამ ამავე დროს აღიარებულია, რომ არც ერთი მხარე არ მიიღებს სპეციალურათ მეორე მხარის წინააღმდეგ აკრძალვის, შეზღუდვის ანდა დაბეგვრის რაიმე ზომებს, რომლებიც შეაფერხებენ ეკონომიური ანდა სხვაგვარი ურთიერთობის განვითარებას ორივე ქვეყნებს შორის, ამასთანავე ორივე მხარემ ხელი უნდა შეუწყოს თვითეული ქვეყნის ვაჭრობის, ზღვაოსნობის და მრეწველობის განვითარებას. ხელშეკრულების დამდები მხარეების მთავრობები თანახმა არიან დროგამოშვებით, როდესაც ეს საჭირო იქნება, დაიწყონ მოლაპარაკება სპეციალური შეთანხმებების დასადებათ ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ; ამ შეთანხმებებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგებას და განმტკიცებას ორივე ქვეყნებს შორის.

მუხლი მე-5-ე

ხელშეკრულების დამდები მხარეები ადასტურებენ თავის სურვილს და განზრახვას მშვიდობიანათ და მეგობრულათ იცხოვრონ ერთმანეთთან, პატივი სცენ თვითეული სახელმწიფოს უდავო უფლებას თავისი საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში და თავისი სურვილის მიხედვით მოაწყოს თავისი ცხოვრება, თავი შეიკავონ და შეაჩერონ სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირები და ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც მათგან რაიმე ფინანსიურ დახმარებას იღებენ, ყოველგვარ აშკარა ანდა ფარულ მოქმედებიდან, რომელიც ხიფათს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ანდა იაპონიის ტერიტორიის რომელიმე ნაწილის წესრიგისა ანდა უშიშროებისათვის. აღიარებულია აგრეთვე, რომ არც ერთი მხარე არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე, რომელიც მისი იურისდიქციის მფარველობის ქვეშ იმყოფება: ორგანიზაციებს ანდა ჯგუფებს, რომლებსაც სურთ ძალაუფლება დაიპყრონ მეორე მხარის ტერიტორიის რომელიმე ნაწილზე, ანდა უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებს ანდა მოქალაქეებს, რომელთა შესახებაც დამტკიცებული იქნება, რომ ისინი ფაქტიურათ ამ ორგანიზაციების ანდა ჯგუფების პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან.

მუხლი მე-6

ორივე ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების მიზნით და აგრეთვე იღებს რა მხედველობაში იაპონიის საჭიროებებს, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაკლებობით, საბჭოთა კავშირის მთავრობა მზად არის მისცეს იაპონიის ქვეშევრდომებს, კომპანიებს და ასოციაციებს კონცესიები მინერალურ, ტყეების და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლათ საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე.

მუხლი 7

ეს კონვენცია დამტკიცებული უნდა იქნეს. მისი დამტკიცების შესახებ თვითეულმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში პეკინში მყოფ დიპლომატიური წარმომადგენლის საშუალებით უნდა აცნობოს მეორე მხარის მთავრობას. ეს კონვენცია ძალაში შედის ასეთი ცნობის მიღების შემდეგ. რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლას ადგილი ექნება პეკინში მოკლე დროის განმავლობაში.

ამის დასადასტურებლათ სათანადო რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას ორ ცალათ ინგლისურ ენაზე თავისი ბეჭედის დასმით.

ხელშეკრულება დადებულია პეკინში 1925 წ. 20 იანვარს.

ხელისმოწერა: ლ. კარახანი. კ. იოშიზავა.

ო ქ მ ი „ა“

საბჭოთა კავშირმა და იაპონიამ, დაიწყეს რა დღეიდან ხელისმოწერა კონვენციაზე მათი ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სასურველათ სცნეს მოაგვარონ ზოგიერთი საკითხები აღნიშნული კონვენციის დადების გამო და თავისი სათანადო რწმუნებულების საშუალებით წარმოებულ მოლაპარაკების პროცესში შეთანხმდენ შემდეგ დადგენილებებზე:

მუხლი 1.

თვითეული მხარე ვალდებულია გადასცეს მეორე მხარეს უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ამ მეორე მხარის საელჩოს და საკონსულოს და რომელიც ფაქტიურათ მოთავსებულია პირველი მხარის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მიწა, რომელიც ეჭირა რუსეთის ყოფილ მთავრობას ტოკიოში, ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ შეუძლებელია ქალაქ ტოკიოს ხელახლა დაგეგმვა ანდა საზოგადოებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება, მაშინ საბჭოთა კავშირის მთავრობა თანახმა იქნება განიხილოს ის წინადადებები, რომლებსაც წამოაყენებს იაპონიის მთავრობა ასეთი დაბრკოლებების თავიდან აცილების მიზნით. საბჭოთა კავშირის მთავრობა გაუადვილებს იაპონიის მთავრობას შესაფერი ადგილის და შენობების გამონახვას იაპონიის საელჩოსა და საკონსულოებისათვის, რომლებიც მოწყობილი უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

მუხლი 2

აღიარებულია, რომ ყველა საკითხები იმ ვალების შესახებ, რომლებიც ერგება იაპონიის მთავრობას ანდა ქვეშევრდომებს იმ სახელმწიფო სესხისა და ხაზინის ვალდებულებების გამო, რომლებიც გამოშვებული იყო რუსეთის წინანდელი მთავრობების—სახელდობრ: რუსეთის იმპერატორის მთავრობის და მისი მემკვიდრის—დროებითი მთავრობის მიერ, გადაწყვეტილი უნდა იქნეს მომავალი მოლაპარაკების დროს. მხედველობაში მიღებულია ის, რომ ამ საკითხების მოგვარების დროს იაპონიის მთავრობა ანდა ქვეშევრდომები ყველა დანარჩენ თანასწორ პირობებში არანაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში არ იქნებიან ჩაყენებული, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს მთავრობა ანდა მოქალაქეები ასეთივე საკითხების მოგვარების დროს.

აღიარებულია აგრეთვე, რომ ყველა ის საკითხები, რომლებიც შეეხება ერთი ქვეყნის მთავრობის პრეტენზიებს მეორე ქვეყნის მთავრობის მიმართ, ანდა ერთი ქვეყნის მოქალაქეების პრეტენზიებს მეორე ქვეყნის მთავრობის მიმართ, გადაწყვეტილი უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის და იაპონიის მომავალი მოლაპარაკების დროს.

მუხლი 3

იმის გამო, რომ ჩრდილოეთ სახალინის კლიმატიური პირობები ხელს უშლიან ამჟამათ იქ მყოფ იაპონელი ჯარისკაცების დაუყოვნებლივ გადაყვანას სამშობლოში, ეს ჯარები აღნიშნული რაიონიდან საბოლოოთ გაყვანილი იქნებიან 1925 წლის 15 მაისისათვის. ეს ევაკუაცია დაწყებული უნდა იქნეს, როგორც კი შეიქმნება საამისო კლიმატიური პირობები; ამასთანავე ასეთი წესით დაცლილ რაიონებში და მთელს სახალინზე დაუყოვნებლივ აღდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის სრული სუვერენიტეტი.

დაწვრილებითი გეგმა, რომელიც მმართველობის გადაცემას შეეხება, ოკუპაციის დამთავრებამდი შემუშავებული იქნება ალექსანდროვსკში იაპონიის საოკუპაციო არმიის სარდალის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მიერ.

მუხლი 4.

ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, რომ ამჟამად არ არსებობს არავითარი ხელშეკრულება ანდა შეთანხმება სამხედრო კავშირის შესახებ და არც რაიმე საიდუმლო შეთანხმება ერთ-ერთ მხარესა და რომელიმე მესამე სახელმწიფოს შორის, რომელიც დაარღვევს ანდა საშიშროებას მოუმზადებს მეორე მხარის სუვერენიტეტს და ტერიტორიალურ უფლებებს ანდა სახელმწიფოებრივ უშიშროებას.

მუხლი 5.

ეს ოქმი დამტკიცებულათ ჩაითვლება იმ კონვენციის დამტკიცების შემდეგ, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და რომელსაც ხელი მოვაწერეთ დღეს. ამის დასადასტურებლათ სათანადო რწმუნებულებმა ხელი მოიწერეს ამ ოქმს ორ ცალათ ინგლისურ ენაზე თავისი ბეჭდის დასმით.

დადებულია პეკინში 1925 წლის 20 იანვარს.

ხელისმოწერა: ლ. კარახანი. კ. იოშიზავა.

ო ქ მ ი „ბ“

ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდენ იმ საკონცესიო ხელშეკრულებათა ქვემოდმოყვანილ საფუძვლებზე, რომელიც დადებული იქნება 5 თვის განმავლობაში დღიდან იაპონიის ჯარების მიერ ჩრდილოეთ სახალინის ევაკუაციისა, რაც გათვალისწინებულია ოქმი „ა“-ნის მე-3 მუხლში და რომელიც ხელმოწერილია დღეს საბჭოთა კავშირის და იაპონიის რწმუნებულების მიერ:

1) საბჭოთა კავშირის მთავრობა თანახმაა მისცეს იაპონიის მთავრობის მიერ დასახელებულ კონცერნებს კონცესია ჩრდილოეთ სახალინზე იმ ნავთიან ადგილების არეს 50 პროცენტის საექსპლოატაციოთ, რომელიც აღნიშნულია იაპონიის წარმომადგენლის მიერ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისათვის გადაცემულ მემორანდუმში 1924 წლის 29 აგვისტოს თარიღით. რათა გამორკვეული იქნას იაპონელ კონცერნებისათვის საექსპლოატაციოთ იჯარით მისაცემი ნავთიანი ადგილების არე, თვითეული ნავთიანი ადგილი უნდა გაიყოს კვადრატებად 15—40 დესეტინამდე თვითეული: ამასთანავე იაპონელებს დაეთმობათ ასეთ კვადრატების განსაზღვრული რიცხვი, რომელიც შეადგენს მთელი არეს 50 პროც., აგრეთვე ნაგულისხმევია, რომ იაპონელებისათვის იჯარით მისაცემი კვადრატები, როგორც საერთო წესი, არ უნდა იყოს მეზობლად მდებარე, მაგრამ უნდა შეიცავდეს ყველა იმ ადგილებს, სადაც დღეს იაპონელები აწარმოებენ ნავთის ამოქაჩვას ან სხვა მუშაობას. რაც შეეხება იმ ადგილებს, რომელიც არ იქნება გაცემული იჯარით იაპონელებზე, იმავე მემორანდუმში ნაგულისხმევია, რომ თუ საბჭოთა მთავრობა გადასწყვეტავს გასცეს ასეთი ადგილები მთლიანად ან ნაწილობრივ უცხოელებზე, იაპონიის კონცერნებს მიენიჭებათ თანასწორი უფლებანი ამ კონცესიების მიმართ.

2) საბჭოთა კავშირის მთავრობა ნებას დართავს იაპონელ კონცერნებს, რომელთაც იაპონიის მთავრობა დაასახელებს, 5 —10 წლამდე მოახდინონ ახალ ნავთიან ადგილების კვლევა-ძიება ჩრდილოეთ სახალინის აღმოსავლეთის სანაპიროებზე 1,000 კვადრატიულ ვერსის მანძილზე, რომელიც უნდა იქნას გამოყოფილი საკონცესიო ხელშეკრულებების დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ იაპონელების კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდება ნავთიანი ადგილები, ამ ადგილების 50 პროცენტის ექსპლოატაციის უფლება მიენიჭებათ იაპონელებს.

3) საბჭოთა კავშირის მთავრობა თანახმაა მისცეს იაპონელ კონცერნებს კონცესიები ნახშირის საექსპლოატაციოთ ჩრდილოეთ სახალინის დასავლეთის ნაპირებზე, განსაზღვრულ არეზე, რომელიც უნდა იყოს აღნიშნული საკონცესიო ხელშეკრულებებში. საბჭოთა კავშირის მთავრობა თანახმაა მისცეს იაპონელ კონცერნებს კონცესია ნახშირის საექსპლოატაციოთ დუეს ოლქში განსაზღვრულ ადგილზე, რომელიც უნდა განისაზღვროს საკონცესიო ხელშეკრულებაში. რაც შეეხება ნახშირის ამოღების ადგილებს განსაზღვრულ არეს გარეშე, რომელიც აღნიშნულია წინა ორ წინადადებებში, აგრეთვე მიღებულია, რომ, თუ საბჭოთა კავშირის მთავრობა გასცემს ამ ადგილებს უცხოელებზე, იაპონელ კონცერნებს მიენიჭებათ თანასწორი უფლება ასეთ კონცესიების მიმართ.

4) კონცესიების ვადათ ნავთის და ნახშირის საექსპლოატაციოთ, რომელიც გათვალისწინებულია წინა პარაგრაფებში, დაწესებული იქნება 40—50 წელი.

5) აღნიშნულ კონცესიებისათვის იაპონელმა კონცესიონერებმა ყოველწლიურად უნდა აძლიონ საბჭოთა კავშირის მთავრობას: ნახშირიან ადგილებში მთელი ამოღების 5—8 პროცენტი, ნავთიან ადგილებში—5—15 პროცენტამდე. მიღებულია მხედველობაში, რომ შადრევნების გაჩენის დროს გადასახადი შეიძლება გადიდებული იქნას 45 პროცენტამდე. ამოღების პროცენტი, რომელიც, ამგვარად, უნდა იქნას შეტანილი გადასახადის სახით, საბოლოოდ იქნება აღნიშნული საკონცესიო ხელშეკრულებებში, ამასთანავე იგი შეიძლება შეიცვალოს ყოველწლიურ ამოღების მიხედვით, იმ მეთოდით, რომელიც აღნიშნული იქნება ხსენებულ ხელშეკრულებებში.

6) აღნიშნულ იაპონელ კონცერნებს ნებადართული ექნებათ მოსჭრან ხეები წარმოებათა საჭიროებისათვის და ააშენონ სხვადასხვა მოწყობილობანი მასალების და პროდუქტების გადაზიდვის გასაადვილებლად. ამასთან დაკავშირებული წვრილმანი საკითხები აღნუსხული იქნება საკონცესიო ხელშეკრულებებში.

7) მიღებულია რა მხედველობაში საიჯარო გადასახადი და არახელსაყრელი პირობები, რომელშიაც ჩაყენებული იქნება წარმოება გეოგრაფიულ მდებარეობის და სხვა საერთო პირობების გამო ამა თუ იმ რაიონში, გათვალისწინებულია, რომ ნებადართული იქნება უბაჟოთ შემოტან-გატანა ყოველგვარ მასალების და პროდუქტების, რომელიც საჭიროა ამ წარმოებებისათვის, ან დამზადებული იქნება მათ მიერ და რომ წარმოებები არ იქნება დაბეგრილი გადასახადით და მათზე არ გავრცელდება შეზღუდვანი, რომელიც შეუძლებლად გახდიდა სარგებლიან ექსპლოატაციას.

8) საბჭოთა კავშირის მთავრობა მიანიჭებს აღნიშნულ წარმოებებს ყოველგვარ გონივრულ დაცვის შესაძლებლობას და შეღავათს.

9) წინა მუხლებთან დაკავშირებული წვრილმანი საკითხები აღნიშნული იქნება საკონცესიო ხელშეკრულებებში.

ეს ოქმი დამტკიცებულათ ჩაითვლება იმ კონცესიის დამტკიცების შემდეგ, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და რომელსაც ხელი მოვაწერეთ დღეს. ამის დასადასტურებლად სათანადო რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს ორ ცალად ინგლისურ ენაზე თავისი ბეჭდის დასმით.

დადებულია პეკინში 1925 წლ. 20 იანვარს.

ხელისმოწერა: ლ. კარახანი.

კ. იოშიზავა.

შაბათს, 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე,
საქართველოს კომპარტიის ცეკას ბინაზე შესდგება ს. კ. პ. ცეკასთან არსებულ

სოფლად მუშაობის კომისიის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

პრეზიდიუმის წევრების—ფ. მახარაძის, ალ. გეგეჭკორის, შალვა მათიკაშვილის, მარიამ ორახელაშვილის, ა. დოლიძის, გიორგაძის, ალ. ჯაფარიძის, მ. კახიანის, ქართველიშვილის და დარახველიძის დასწრება სავალდებულოა.

ამხანაგებს გთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ს. კ. პ. ცეკასთან არსებულ სოფლად
მუშაობის კომისიის მდივნის მაგიერ ჟღენტი.

„კომუნისტი“-ს
ხელის მომწერლებს დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება
— უფასო დამატებები —
„მეცნიერება და ტეხნიკა“ № 4
„ჩ ი რ ა ღ დ ა ნ ი“ № 4

საბჭოთა კავშირის რწმუნებულის დეკლარაცია

ხელს აწერს რა დღეს შეთანხმებას, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთ დამოკიდებულების ძირითად პრინციპებს, ამის ხელის მომწერს, საბჭოთა კავშირის რწმუნებულს აქვს პატივი განაცხადოს, რომ მისი მთავრობის მიერ 1905 წ. 5 სექტემბერს დადებულ პორტსმუტის ხელშეკრულების აღიარება, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ კავშირის მთავრობა იზიარებს ყოფილ მეფის მთავრობის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აღნიშნულ ხელშეკრულების დადებისათვის.

პეკინი. 1925 წ. 20 იანვარი.

ლ. კარახანი.

ამხ. კარახანის ნოტა იოშიზავას მიმართ

ბატონო ელჩო!

მაქვს პატივი მოგახსენოთ ჩემი მთავრობის სახელით, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა, რათა ის მუშაობა, რომელზედაც ლაპარაკია იაპონიის რწმუნებულის მიერ საბჭოთა კავშირის რწმუნებულისათვის გადაცემულ მემორანდუმში 1924 წ. 29 აგვისტოს,—რომელსაც იაპონელები აწარმოებენ ჩრდილოეთ სახალინზე როგორც ნავთიან, ისე ნახშირიან ადგილებში, გაგრძელებული იქნას საკონცესიო ხელშეკრულებების დადებამდე, რაც უნდა მოხდეს იაპონიის ჯარების მიერ ჩრდილოეთ სახალინის სრული ევაკუაციის დღიდან 5 თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები დაიცავენ შემდეგ პირობებს:

1) მუშაობა უნდა სწარმოებდეს თანახმად 1924 წ. 29 აგვისტოს მემორანდუმში მოყვანილ ცნობებისა სამუშაო არეს, მუშების და ექსპერტთა რიცხვის, მანქანების და მემორანდუმში გათვალისწინებულ სხვა პირობების შესახებ.

2) ამოღებული ნავთი და ნახშირი არ შეიძლება გატანილი იქნას, არამედ უნდა მოხმარდეს პირად შემადგენლობის და მუშაობასთან დაკავშირებულ მოწყობილობის საჭიროებებს.

3) საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მიცემული ნებართვა მუშაობის განგრძობის შესახებ, არავითარ გავლენას არ მოახდენს მომავალ საკონცესიო ხელშეკრულებათა დადებაზე.

4) საკითხი ჩრდილოეთ სახალინზე იაპონელების უმავთულო ტელეგრაფის სადგურების მუშაობის შესახებ გადადებულია გადასაჭრელათ და მოწესრიგებული იქნება ისე, რათა იგი შეეფერებოდეს საბჭოთა კავშირის კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს უმავთულო ტელეგრაფის კერძო უცხოელთა სადგურების აშენებას.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა, ბატონო ელჩო, დავადასტურო ჩემი თქვენდამი პატივისცემა.

პეკინი. 1925 წ. 20 იანვარი.

ლ. კარახანი.

იოშიზავა—კარახანს

ბატონო ელჩო!

მაქვს პატივი დავადასტურო თქვენი ალმატებულების ქვემოდ-მოყვანილი ნოტის მიღება 1925 წ. 20 იანვრის თარიღით (მთლიანად მოყვანილია კარახანის ნოტა).

ჩემი მთავრობის სახელით მაქვს პატივი განვაცხადო, რომ იაპონიის მთავრობა სავსებით ეთანხმება აღნიშნულ ნოტას.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა დავადასტურო, ბატონო ელჩო, ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

პეკინი. 1925 წ. 20 იანვარი.

კ. იოშიზავა.

ნოტა—დანართი.

ხელს აწერს რა დღეს შეთანხმებას, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირს და იაპონიის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს, ამის ხელის მომწერს, საბჭოთა კავშირის რწმუნებულს აქვს პატივი გამოსთქვას გულწრფელი მწუხარება იაპონიის მთავრობის წინაშე 1920 წ. ნიკოლაევის ინციდენტის გამო.

პეკინი. 1925 წ. 20 იანვარი.

ლ. კარახანი.

რამ დაგვღუპა და რა გვიხსნის

VI *)

აშკარათ უნდა ითქვას, რომ საზღვარ-გარეთ ჩვენს ემიგრანტებს და საქართველოში დარჩენილ ამხანაგებს ეგონათ, რომ ჩვენი მთავრობა, სამარცხვინო დამარცხების შემდეგ მაინც, მოვიდოდა გონს და მომავალში გამოდგებოდა საქმისათვის; მაგრამ აქაც ჩვეულებრივათ მოვსტყუვდით. კარგათ გავითვალისწინეთ კონსტანტინოპოლში მომხდარ კრებაზე მთავრობის და გვარდიის მთავარი შტაბის მოქმედების შესახებ ველიკო ჯუღელის, გენერალ კვინიტაძის, გენერალ ოდიშელიძის და სხვათა სამწუხარო, საშინელი ხასიათის და ერთი მეორის საწინააღმდეგო მოხსენებები და ამ კრებაზე მწარე შეტაკებების შინაარსი; მიიღეთ მხედველობაში დღეს ევროპაში მთავრობის წევრების, წარმომადგენლების და მათი მოხელეების უმზგავსი საქციელი მოქალაქეთა და ქონების მიმართ და აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილი მათი ცხოვრების ცუდათ დამახასიათებელი ის მძიმე საბუთები, რომლებზედაც ამ წერილში არ შეიძლება ლაპარაკი, თქვენ ღრმათ დარწმუნდებით, რომ ევროპაში მყოფი ჩვენი მთავრობა, მათ ირგვლივ გაბატონებული პირები და გვარდიის მთავარი შტაბის წევრები ძველებურად განაგრძობენ საერთო საქმის მაგიერ მავნე ჯგუფურ საქმიანობას.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ციხეებში დაპატიმრებული ჩვენი ამხანაგები, სხვა პარტიის წევრნი და უპარტიო საზოგადო მოღვაწენი უსახსრობის გამო აუტანელ სიღარიბეს განიცდიან; იმ დროს, როდესაც ციხეში დამწყვდეული აღნიშნული ხალხის ოჯახები კიდევ უარეს გაჭირვებაში არიან; იმ დროს, როდესაც სრულიად საქართველოს ხალხი დაუსრულებელ ომებით მოქანცული, უფლებრივად შევიწროვებული, ქონებრივად გაძარცული და სიმშილით დასუსტებული; როდესაც ოსმალეთში მთავრობის ბრძანებით ჩამოყვანილი ჯარების და გვარდიის ნაწილების ახალგაზრდობა და ოფიცრობა ქვეყნის სამასხროთ, უფლებაახდილი, ნახევრად მშიერი, უბინაოდ ქუჩებში დაეხეტება; მაშინ, როდესაც თვითეულს მათგანს აქვს სურვილი და უნარი სწავლა-განათლების მიღებისა — უპატრონობისა და მოუვლელობის მსხვერპლი გამხდარა; როდესაც ევროპიის სხვადასხვა სახელმწიფოების უნივერსიტეტებში მოსწავლე სტუდენტობას, ამ ჩვენი ახლო მომავლის საუკეთესო იმედს, აუტანელ ცხოვრების პირობების გამო ქუჩებში გამოყრა მოელის და ვინ იცის, უკუღმართი ცხოვრების ტალღები რა გზაზე დააყენებს მათ; როდესაც ჩვენი ქვეყნის მომავლის ბედის გადამწყვეტი საქმეები გამოურკვევლობის ბურუსშია გახვეული და ვინ იცის ასეთი მწარე დღეები რამდენ თვეობით და წლობით გაგრძელდება; იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობის განკარგულებაში ყველა დარჩენილი, დიდი საქმისთვის დანიშნული თანხები არა პირდაპირ დანიშნულებისათვის იხარჯება; როდესაც საქართველოდან წამოღებული ქართველი ხალხის ქონება ბნელი კომბინაციებით ქრება და ნიავდება,—აი, ამ დროს, პარიზში მყოფი მთავრობის წევრები თავის თავს გადაჭარბებულ ჯამაგირებს უნიშნავენ! კონსტანტინოპოლში კი, სადაც საცხოვრებლათ სრულიად საკმარისი იყო ასამდე თათრული ლირა, გემზე გამინისტრებული ერაძე თვეში სამი ათას ფრანკს, ესე იგი სამას თურქულ ლირას იღებს და მთავრობის მიერ პარიზიდან კონსტანტინოპოლში და სხვაგან გაგზავნილი კაცები ათასობით ლირებს ხარჯავდენ და ხარჯავენ ექსპრესებსა და დიდკაცურ მოგზაურობაში! სწორეთ ამ საშინელ ეროვნულ გლოვის და მწუხარების დროს, ჩვენი ზოგიერთი დიპლომატები და მთავრობის მახლობელი თანაშემწენი კონსტანტინოპოლის და პარიზის კაფე-შანტანებსა და ძვირფას რესტორანებში ლოთობენ, უზომოდ ფლანგავენ ფულს, რესტორანებში და ქუჩებში ტარიელ მკლავამობენ და მუშტი-კრივს ეწევიან!

ნუ თუ ამის შემდეგაც არ უნდა დავსვათ ჩვენს პარტიულ წრეში საკითხი ჩვენი ამხანაგების აქაური მოღვაწეობის შესახებ? ნუ თუ შესაძლებელია ასეთი თავგასულობის კვლავ მოთმენა და ატანა? ნუ თუ ჩვენ ჩვენი სინიდისის წინაშე მაინც არ უნდა ვიკითხოთ და გამოვარკვიოთ:

ვინ არის მიზეზი, რომ საქართველოს სამარცხვინოთ დამარცხების შემდეგ, მთავრობის ბრძანებით საზღვარგარეთ წამოყვანილი საქართველოს მოღვაწენი და ჯარის და, გვარდიის ნაწილები უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოებში ყველასაგან დევნილნი, მშიერნი, ტიტველნი, დამცირებულნი და უფლება-ახდილნი დაეხეტებიან?

ვინ არის მიზეზი, რომ ევროპის უნივერსიტეტებში ასობით მოსწავლე ქართველი სტუდენტები სასტიკ სიღარიბეს განიცდიან და ბოლოს, უსახსრობის გამო ქუჩაში რჩებიან?

რა მოუვიდა, სად არის ის მილიონ ოქროს ფასი ხალხის სიმდიდრე, რომელიც მთავრობამ წამოიღო საქართველოდან და კონსტანტინოპოლში გიორგი ერაძეს ჩააბარა მოსავლელად და შესანახავად?

რა მოუვიდა რკინისგზის მოსამსახურეთა კავშირის დიდძალ ქონებას, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩვენმა ამხანაგებმა ჩამოიტანეს?

რა მოუვიდა და სად ინახება საქართველოს უძველესი და უძვირფასესი საეკლესიო განძეულობა და საქართველოს ხაზინიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი?

რა მოუვიდა და სად არის სახალხო გვარდიის ის ქონება და ფული, რომელიც საქართველოდან წამოღებული კონსტანტინოპოლში გვარდიის მთავარი შტაბის წევრების ხელში იყო?

რა მოუვიდა და სად არის ის დიდძალი ქონება, რომელიც ქალაქთა კავშირის მეთაურებმა კონსტანტინოპოლში ჩამოიტანეს?

ვინ უწევს კანტროლს ყველა ამ ქონებათა მოვლა-პატრონობას, მის რეალიზაციას, ვინ იქნება პასუხისმგებელი იმ შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც ადგილი აქვს ამ ქონებათა გაყიდვის დროს?

VII

ჩვენ მოვიგონეთ და მოკლეთ აღვნიშნეთ ჩვენი ორი წლის მოღვაწეობის დამღუპველი მოვლენები იქ და აქ, საქართველოში და ევროპაში. ამის შემდგომ ნათელი უნდა გახდეს ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვის მთავარი მიზეზები.

ბოლშევიკური რუსეთი თავისი შინაური მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვერ დაიპყრობდა საქართველოს. მაგრამ საუბედუროთ, რადგან საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტია და მისი უძრავლესობისაგან შემდგარი, ჩვენი ქვეყნის კანონმდებელი, დამფუძნებელი კრება თავისი დანიშნულების სიმაღლეზე ვერ იდგა, ამის გამო სახელმწიფო საქმისათვის მოუმზადებელმა და გამარტოებულმა რესპუბლიკის მთავრობამ ვერ შეიგნო თავის დროზედ გარეშე სახელმწიფოებთან ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის შეკვრის აუცილებლობა, ვერ დაინახა თავისი სიბეციით მოახლოვებული მტერი და მისი **საომარი სამზადისი, ან დაინახა და ნებისყოფას მოკლებულმა,** სულიერად დაცემულმა და პირადი შიშით შეპყრობილმა ვერ შესძლო დროზე ზომების მიღება, ერის დარაზმვა და მომზადება! ასეთმა მთავრობამ ვერ შეინახა ჩვენი და ხალხის ნდობა, მასზე მიყრდნობა და მიმხრობა. მან ვერ შექმნა რესპუბლიკის ხალხის უფლებისა, ქონებისა და ინტერესების დამცველი სასამართლო, ჯარების და ადმინისტრაციის სათანადო აპარატები, რის გამოც სამი წლის განმავლობაში მთელი რესპუბლიკის მმართველმა მოხელეებმა თავისი უხეში, თავხედური ძალმომრეობით, მექრთამეობით და სხვადასხვაგვარ ბოროტ - მოქმედებით გამოწვეულ ანარქიაში გააკოტრეს რესპუბლიკა ეკონომიურად, ზნეობრივად და პოლიტიკურად. განა გასაკვირველია, რომ ხალხის უმრავლესობამ მაინც და მაინც აღარ გამოიდო თავი და აღარ იბრძოლა იმ მთავრობის და იმ წყობილების დასაცავად, სადაც უფლება ახდილ ხალხს აღარ ეცხოვრებოდა! მოთმინებიდან გამოსული ხალხი მოკლეთ ხელის ჩაქნევით ასე ამბობდა: რაც უნდა მოხდეს. ვინც უნდა მოვიდეს, თქვენზე უქნარ-უვარგისი **და გაუმაძღარი ვიდა იქნებაო!**

იმ მუშების უმრავლესობას, რომელნიც 1917 წელში მზად იყვნენ თავი გაეწირათ ჩვენი პარტიისთვის ჩვენი მმართველობის უკვე მეორე და მესამე წელში სავსებით უიმედობა და გულგატეხილობა იპყრობდა.

ისინი ნათლად ხედავდენ, რომ მათი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა მიუხედავათ იმისა, რომ დიქტატურა მათი პარტიის ხელში იყო. ამავე დროს პარტიულ მოღვაწეთა ერთი ნაწილი ისე დაეწაფა ფუფუნებას, რომ ამ საქმეში ძველს მინისტრებს და კაპიტალისტებს დიდათ გადააჭარბა. მუშები ნათლად ხედავდნენ, რომ როდესაც დიდი რუსეთის მინისტრები მოგზაურობის დროს კუპეთი კმაყოფილდებოდენ, პატარა საქართველოს მინისტრები და უფრო დაბალი მოხელენიც მთელს ვაგონებს იკავებდნენ და ხშირად საგანგებო მატარებლებსაც იმზადებდნენ. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ თუ წინეთ ტფილისში მეფის ნაცვალს ჰქონდა ავტომობილი და ერთ-ორს კიდევ, პატარა ქვეყნის მინისტრებს, გვარდიის მთავარ შტაბის, ერობის და ქალაქის გამგეობის წევრებს საკუთრივ ეკავათ ხაზინის ხარჯზე რამოდენიმე ასეული ავტომობილი. ბოლოს, ჩვენი პარტიის სიმტკიცემ, მუშათა კლასმა და რასაკვირველია, მასთან მთელმა ხალხმა ასე დააფასა ჩვენი პარტიის პოლიტიკა: **ძველი მთავრობის ჩამოგდება და კაპიტალისტების შევიწროება თქვენ იმისთვის გვდომებიათ, რომ თქვენ დაგეჭირათ მათი ადგილი და უფრო უხეშათ და უსირცხვილოდ გაბატონებულიყავით ხალხზე!**

არა ნაკლები უიმედობა ეტყობოდა პარტიული ინტელიგენციის გულწრფელ და პატიოსან ნაწილს, იმ ნაწილს, რომელიც არ იყო სავსებით **ჩაფლული პირადი ანგარიშების და პი**რადი სარგებლობის ჭაობში. ყველანი ნათლად ხედავდნენ, რომ მმართველ პოლიტიკას ჩვენი ქვეყანა უფსკრულისაკენ მიჰყავდა.

ამ ნიადაგზე მოხდა ჩვენს პარტიაში განხეთქილება და მან კიდევ უფრო გამოააშკარავა ის საშინელი გახრწნილება, რომელიც შევიდა ჩვენს პარტიაში უკანასკნელ წლებში. მთავრობის ძალაუფლებას [illegible] პარტია აღარ სცნობდა. მთავრობის განკარგულებებს თვით პარტიული ორგანიზაციები აუქმებდნენ. თვით მთავრობა კი წვრილმან კინკლაობაში იყო გართული და ჩვენი დამქცევი ომის დაწყების პირველ დღეებში, სანამ ის გასაქცევად მომზადდებოდა, ოთახების განაწილების გარეშემო ატეხილი დავით იყო გართული.

ომი დაიწყო და მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდა, რომ ჩვენ გვყავდა ჯარი და გვარდია, მხოლოდ მერვედი ნაწილი იმ რაოდენობისა, რომელიც ჩვენ უნდა გვყოლოდა შტაბების, კრედიტებისა და მთავრობის მოხსენებების მიხედვით. და ესეც როგორი ძალა უნდა ყოფილიყო, როდესაც მათი უფროსები თავიდანვე არა სანდოთ და არა საიმედოთ იყვნენ მიჩნეული და მმართველი პოლიტიკის მიერ სრულიად ათვალისწინებული.

რა უნდა შესძლებოდა ამ მცირე ძალას, როდესაც იმასაც აღარ აღმოაჩნდა საკმაო იარაღი, სამხედრო მასალა და სურსათი? ყოველივე ამის გამო საქართველოს დამხობის საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო; მაგრამ ეს არ სჯეროდა პოლიტიკურ წრეებს, ეს არ სჯეროდა ხალხს და იგი საოცარი ერთსულოვნებით და სიმტკიცით ირაზმებოდა საბრძოლველად.

მებრძოლი ერის გამაგრების და გამხნევების ნაცვლად, მთავრობამ პირველმა გასტეხა ბრძოლის ფრონტი და ჩვენმა სახელოვანმა მინისტრებმა ომის პირველსავე დღეებში დაიწყეს საქვეყნოდ გაზიდვა თბილისიდან თავისი ბარგი-ბარხანისა. ისტორიის მიხედვით თბილისში მტერი ბევრჯერ შესულა, მაგრამ არასოდეს არ ჰყოლია თბილისს ისეთი პატრონი, რომელსაც ის ასე ადვილად, უბრძოლველად, უსისხლოდ მიეტოვებინოს, როგორც ეს ჩვენმა მთავრობამ ჩაიდინა. თბილისთან მტრის მოახლოვებისას, ჩვენი მთავრობისა და ხელმძღვანელთა წინაშე საკითხი უნდა დამდგარიყო: ან გამარჯვება ან სიკვდილი საქართველოს გულის კარებთან! ამის ნაცვლად ჩვენი მთავრობა უკვე გახიზნული და გაქცეული იყო, რამაც გასტეხა ხალხის მებრძოლი სული.

ყოველივე ამის შემდგომ ნუ თუ არ მოითხოვს ჩვენგან უბრალო ადამიანური რიგიანობა და პატიოსნება, რომ არ დავმალოთ, არ დავფაროთ, არამედ საქვეყნოდ ვაღიაროთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის მთავარი მიზეზი ბოლშევიკები კი არ იყვნენ, არამედ ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებდა; რომ რუსეთი შემოვიდა საქართველოში არა შავი ზღვით, ბაქოს გზით და მამისონის უღელტეხილით, არამედ იმ გზებით, რომელნიც ჩვენი მმართველი პოლიტიკით იყვნენ გაკაფულნი; რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ციხის კარები შიგნიდან იყო გაღებული და მით რუსის ჯარების მსვლელობის გზა გახსნილი და გაადვილებული!

ვანო ალიხანიშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 47.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ. ციო-განყოფილების
კომპლექტი

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

შეთანხმება იაპონიასთან შევიდა ძალაში

ტოკიო, 26 თებერვალი. 26 თებერვალს 14 საათზე, იოშიზავას და კარახანს შორის ხელშეკრულების დამტკიცებული ტექსტის ცნობების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება შევიდა ძალაში. იაპონიის პრემიერმა კატომ შეთანხმების დამტკიცების გამო წარმოთქმულ სიტყვაში კმაყოფილება გამოსთქვა, რომ მეგობრული შეთანხმება ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის აღდგენილია. კატომ განაცხადა: „მხოლოდ მწუხარების გამოთქმა შეიძლებოდა, რომ საბჭოთა კავშირი განცალკევებული რჩებოდა. საბჭოთა კავშირის და იაპონიის შეთანხმების დადებას უნდა მივესალმოთ არა მარტო საბჭოთა კავშირის კეთილდღეობის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე სხვა ხალხთა ინტერესების თვალსაზრისითაც. სასურველია, რომ იაპონიის ხალხმა საუკეთესოდ გამოიყენოს ხელშეკრულება ორივე ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების და გაუმჯობესების მხრივ. მთავრობა კი თავის მხრივ გააკეთებს ყველაფერს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა ფართო შესაძლებლობა შექმნას საბჭოთა ტერიტორიაზე საქმიან წარმოებების მოწყობისათვის დადებულ შეთანხმებასთან შეფარდებით“.

შიდეხარას განცხადება

ტოკიო. 26 თებერვალი. გარეშე საქმეთა მინისტრმა—ბარონ შიდეხარამ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის უაღრესად გულწრფელად უნდა მივესალმოთ. მას უაღრესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცებისათვის“.

შემდეგ შიდეხარა ეხება წვრილ საკითხებს, რომლებიც მომავალში უნდა გადაიჭრან და იმედს გამოსთქვამს, რომ ამ საკითხების გადაჭრა არ იქნება ძნელი, რადგან ორივე **მხარეს - გულწრფელად სურს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიური თანამშრომლობის რაც შეიძლება ადრე განხორციელება.**

გერმანიის „საგანგებო კომისიის“ საქმე

ლეიპციგი, 26 თებერვალი. სასამართლოს სხდომაზე დამცველთა მაგიდის წინ, 26 თებერვალს, სხედან როგორც დანიშნული ოფიციალური დამცველები, ისე ლეიპციგში დაბრუნებული ძველი დამცველები, გარდა ზომტერისა. თავმჯდომარე ნიდნერი არ აკმაყოფილებს როზენფელდის თხოვნას, რომელიც მოითხოვს დამცველთა ადგილების გაწმენდას.

სასამართლო ჩვენებას ართმევს ბრალდებულ მოიხს, რომელიც თავის თავს სცნობს კომუნისტად, მაგრამ გადაჭრით უარყოფს ნეიმანის განცხადებას, თითქოს ის მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვაგვარ თავდასხმების მოწყობაში. მოისსი აცხადებს, რომ, როგორც კი გაიგო ნეიმანის დაპატიმრება, მან დაუყოვნებლივ მიმართა ლანდტაგის და რეიხსტაგის კომუნისტურ ფრაქციებს. კომუნისტმა - დეპუტატებმა მას განუცხადეს, რომ მათ არაფერი იციან ნეიმანის ჯგუფის არსებობის შესახებ და ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ მას კავშირი აქვს კომუნისტურ ორგანიზაციასთან. კომუნისტმა - დეპუტატმა ბარტსმა მიმართა აგრეთვე ვიურტემბერგის ელჩს ბერლინში ოფიციალური ცნობისათვის შტუტგარდტში მომხდარ დაპატიმრების შესახებ.

ბრალდებული გუკე, კომპარტიის წევრი, ადასტურებს სკობლევსკის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მას - გუკეს უნდა ეშოვნა სკობლევსკისათვის ყალბი პასპორტი. ნეიმანი სცდილობს დაამძიმოს გუკეს და სკობლევსკის დანაშაული იმის მტკიცებით, რომ გუკე ყოველდღიურად ასრულებდა კავშირის შიკრიკის მოვალეობას საბჭოთა საელჩოსა და კომუნისტურ ცენტრალურ ბიუროს შორის, და რომ გუკემ თითქოს სკობლევსკისაგან მიიღო გენერალური შტაბის რუქა, დაწვრილებითი ინფორმაციით რეიხსვერის ნაწილების შესახებ, აგრეთვე გერმანიის წითელი არმიის შეტევის სტრატეგიული გეგმა.

გუკე უარყოფს ამას და აცხადებს, რომ მისი წინანდელი ჩვენება იმის შესახებ, თითქოს ის იცნობდა სკობლევსკის, მიცემულია ნეიმანის და გამომძიებელ ფონტის ზეგავლენით.

არაჩვეულებრივი ინციდენტი

ბერლინი. 25 თებერვალი. აქ ჩამოვიდა იმ ვექილთა წარმომადგენლების დელეგაცია, რომლებიც არიან დამცველებათ გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესზე. დელეგაცია როზენფელდის, ვოლფის და მარგენერის შემადგენლობით გაემგზავრა იუსტიციის მინისტრთან, რომელსაც განუცხადა პროტესტი თავმჯდომარე ნიდნერის მიერ დამცველ ზომტერის სასამართლოს სხდომიდან ძალით გაძევების წინააღმდეგ. პროტესტს შეუერთდენ ვექილთა ბერლინის კავშირის წარმომადგენლები.

იუსტიციის მინისტრმა აღიარა ლეიპციგის ინცინდენტის „არაჩვეულებრივ“ შემთხვევად და აღუთქვა საქმის გამოძიება.

საუბარი როზენფელდთან

ბერლინი, 25 თებერვალი. ბრალდებულ სკობლევსკის დამცველმა როზენფელდმა „როსტას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ხაზი გაუსვა, რომ გერმანულ კანონების მიხედვით თავმჯდომარეს უფლება არა აქვს მოულოდნელათ წაართვას ვექილს თავისი მოვალეობის შესრულების საშუალება. ვექილი რჩება დამცველათ მანამ, სანამ მარწმუნებელი არ წაართმევს მას რწმუნებას.

შემდეგ როზენფელდი შეეხო თავდასხმას მის ბინაზე. „ბოროტგანმზრახველებმა—სთქვა როზენფელდმა—ეჭვის თავიდან ასაცილებლათ, წაიღეს ნოხი, ხელი არ ახლეს სხვა ძვირფასს ნივთებს, მაგრამ გასტეხეს საწერლო მაგიდა და წაიღეს რამდენიმე რუსული წიგნი. ეჭვ გარეშეა, რომ თავდასხმა მოხდა პოლიტიკური მიზნით. თავდამსხმელები ფიქრობდენ ხელთ ეგდოთ მასალები ჩემი მარწმუნებელის სკობლევსკის შესახებ“.

დამცველთა დაუსწრებლად

ლეიპციგი, 25 თებ. მიუხედავად დამცველების გამოუცხადებლობისა, სასამართლოს თავმჯდომარე ნიდნერი ხსნის სხდომას და აცხადებს, რომ წასულ ვექილების ნაცვლათ დანიშნულია 5 ოფიციალური დამცველი. ბრალდებულები, გარდა ნეიმანისა, კენიგისა და დანერისა, უარს ამბობენ რაიმე ჩვენების მიცემაზე, სანამ არ გამოცხადდებიან მათ მიერ არჩეული დამცველები. მიუხედავათ ამისა, ნიდნერი სცდილობს დაჰკითხოს ბრალდებული სონი. ქვეყნდება სონის ჩვენება წინასწარ გამოძიებაზე. სონი უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე.

ოფიციალური დამცველები წინადადებას იძლევიან დაკითხული იქნან ჯერ ის ბრალდებულები, რომელნიც თანახმა არიან ჩვენების მიცემაზე. ნიდნერი, ნეიმანი და კენიგი სდგებიან თავიანთ ადგილებიდან. მაგრამ სასამართლო უარს ამბობს მათ დაკითხვაზე და ადგენს დაკითხული იქნას შოფერი მერზნერი. უკანასკნელი აცხადებს, რომ მისი ახალი დამცველი არ გასცნობია ჯერ დოკუმენტებს და ამიტომ არ შეუძლია მისი დაცვა. დამცველი აცხადებს პროტესტს და ამბობს, რომ მან შეისწავლა დოკუმენტები და მზადაა აწარმოოს ოფიციალური დაცვა.

რამდენჯერმე იქნა შეწყვეტილი სასამართლოს სხდომა ბრალდებულთა მოთხოვნით. სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით გამოქვეყნებული იქნა პეგეს ჩვენების ოქმი წინასწარ გამოძიებაზე, სადაც ის ადასტურებდა ნეიმანის ჩვენებას და მოჰყავდა მამხილებელი საბუთებით კომპარტიის წინააღმდეგ.

საღამოს სხდომაზე ნიდნერი სცდილობდა ბრალდებულ ლისიშერის დაკითხვას, მაგრამ **უკანასკნელმა უარი განაცხადა ყოველგვარ ჩვენების მიცემაზე. შემდეგ სხდომა დახურული იქნა.**

პროფმოძრაობის მთლიანობის მისაღწევად

ინგლისის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოში

ლონდონი. 26 თებერვალი. 25 თებერვალს ინგლისის პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ განიხილა საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. ბრამლიმ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციის სახელით წამოაყენა რამოდენიმე წინადადება, რომელთაგან პირველი შეეხება იმას, რომ განხილული იქნეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ამსტერდამის ინტერნაციონალის მიერ მიღებულ რეზოლიუციის შემდეგ, და **მომავალში მიღებული იქნეს კონკრეტიული ზომები მთლიანობის მისაღწევათ, რომლის ინიციატივა ამსტერდამის ინტერნაციონალის მაგივრათ უნდა იკისროს ბრიტანეთის გენერალურმა საბჭომ.**

ხანმოკლე კამათის შემდეგ, რომელიც არსებითათ არ შეხებია ბრამლის წინადადების მეორე ნაწილს, გენერალურმა საბჭომ **დაადგინა დანიშნოს დელეგაცია სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დელეგაციასთან მოსალაპარაკებლათ იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს.**

გენერალურ საბჭოს ეს დადგენილება არ ნიშნავს, რომ ბრამლის სხვა კონკრეტიული წინადადებები უარყოფილი იქნა: ისინი შეიძლება განხილული იქნეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან მოლაპარაკების შემდეგ.

უკანასკნელი ცნობები

ავსტრიის და საბჭოთა კავშირის დაახლოებისთვის.

ვენა. 26 თებერვალი ვენაში შესდგა კომიტეტი საზოგადოების დასაარსებლად საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და კულტურული დაახლოების მიზნით. კომიტეტი პოლიტიკის გარეშე სდგას. კომიტეტში სხვათა შორის შედიან: მრეწველობის მთავარი კავშირის პრეზიდენტის მოადგილე ალექსანდრე ბრიუნერი, პროფესორი განს განი, პროფ. იოსებ გოფმანი, უნივერსიტეტის რექტორი იოსებ მარქსი, მრეწველი ფ. შელერი და სხვა.

ეშინიათ იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების

ლონდონი. 26 თებერვალი. ინგლისის თემთა პალატაში კონსერვატორი ბეკერტი შეეკითხა პრემიერს, ფიქრობს თუ არა მთავრობა ზომების მიღებას საბჭოთა კავშირში ბრიტანეთის სავაჭრო ინტერესების დასაცავათ ამას წინად იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მიღების გამო.

მაკ-ნეილმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მთავრობას არსებულ პირობებში რაიმე ნაბიჯების გადადგმა შეუძლებლათ მიაჩნია.

მოსკოვის სახალხო ბანკის კრედიტი ინგლისში

მოსკოვი, 26 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფი“ 17 თებერვალს, მის მიერ დაბეჭდილ ცნობის შესახებ აცხადებს, რომ ის გაუგებრობით იყო გამოწვეული და რომ პირიქით ინგლისის ბანკებმა საგრძნობათ გაუდიდეს კრედიტი მოსკოვის სახალხო ბანკს.

„თავს იცავენ ბოლშევიკების შეტევისაგან“

ბერლინი, 26 თებერვალი. „ვეტფულკი“ განაგრძობს კამპანიას საბჭოთა კავშირთან გაერთიანების წინააღმდეგ. გაზეთი სწერს: სანამ ბოლშევიკები იძულებული იყვენ დაეცვათ თავისი რევოლიუციის მონაპოვარი ანტანტის და კონტრ-რევოლიუციის შემოტევისაგან, მათ მხარეზე იყო სოციალისტების ყველა სიმპატიები. ეხლა, როდესაც მტერი დაძლეულია, მდგომარეობა შეიცვალა. ეხლა სოციალისტებმა უნდა დაიცვან თავისი პრინციპები ბოლშევიკებისაგან, რადგანაც რუსეთის კომუნისტები გადავიდენ შეტევაზე ყველა სოციალისტების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის გარეთაც.

მოკავშირეთა კონფერენცია

პარიზი 26 თებერვალი. მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევა პრინციპიალურათ გადაწყვეტილია, მხოლოდ სადავოა გერმანიის მონაწილეობის საკითხი კონფერენციაში.

მზადება გაფიცვისთვის

პარიზი. 26 თებერვალი. საფრანგეთის მემაღაროეთა ფედერაციამ, რომელიც ემხრობა შრომის უნიტარულ კონფედერაციას, მიმართა სამთომადნო მუშათა რეფორმისტულ კავშირს წინადადებით მიიღოს მონაწილეობა ერთი დღით გაფიცვაში 10 მარტს ქ. კიურელში და დორტმუნდში მომხდარ კატასტროფის გამო.

დობროჯიანუ შიმშილობს

მოსკოვი, 27 თებერვალი. შილავის ციხეში რუმინეთის კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. დობროჯიანუ უკვე 26 დღეა შიმშილობს და მოითხოვს განთავისუფლებას, რადგანაც ბრალდება მას წაყენებული არ აქვს. დობროჯიანუს მხოლოდ სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო მიუსაჯეს 10 წლის ციხე.

მასთან ერთად ამახწინეთ შიმშილობდა 88 პოლიტიკური პატიმარი. ციხის უფროსი მაინც მოითხოვდ მათგან მძიმე სამუშაოების შესრულებას სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად.

განდი და „ახალი ინდია“

ქაბული, 26 თებერვალი. ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ბელადის განდის მდგომარეობა რთულდება მის წინააღმდეგ ინდოეთის ახალგაზრდა რევოლიუციონერთა ოპოზიციის გამო, რომლებიც მოითხოვენ მისგან პოლიტიკური მუშაობისათვის თავის დანებებას, რადგანაც მთავრობასთან მისი თანამშრომლობის პოლიტიკა დამარცხდა.

ლტოლვილთა ახალშენები.

ერევანი. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოაწყოს ერევანსა და კანაქირს შუა ახალშენი „ახალი არბაკირი“ 610 დესეტინა სივრცით, სადაც დასახლდებიან ლტოლვილები არბაკირელები. საბერძნეთიდან ჩამოსულ 800 ლტოლვილებს ერევანის აღმასკომმა მიაკუთვნა ადგილები ტოხმახანის ტბასთან.

ინგლისის მაღაროს მუშების კონფერენცია

ლონდონი, 26 თებერვალი. 26 თებერვალს ბლოკპულში გაიხსნა ინგლისის მაღაროების მუშების კონფერენცია, რომელიც მოწვეულია სხვადასხვა რაიონების წინადადებების განსახილველათ; კონფერენცია შეიმუშავებს აგრეთვე ახალ შეთანხმებას მწარმოებლებთან შრომის ხელფასის შესახებ.

ფედერაციის აღმასკომმა არავითარი პროექტი არ წარადგინა კონფერენციაზე თავისი სახელით, მან მხოლოდ გააცნო კონფერენციას რამოდენიმე რაიონის წინადადებები, რომლებიც მოითხოვენ: შრომის ხელფასი უნდა შეეფარდებოდეს 1924 წლის შრომის ხელფასის სყიდვითი უნარიანობას და ის უნდა იცვლებოდეს სიძვირის ზრდასთან ერთად. მაღაროებში უნდა მუშაობდენ მხოლოდ ისეთი მუშები, რომლებიც გაერთიანებული არიან მაღაროების მუშების ფედერაციაში. ფედერაციას უფლება უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს წარმოებაზე დაწესებულ კონტროლში. კოკსის და სხვა დამხმარე პროდუქტების დამუშავება უნდა ჩაითვალოს ნორმალურ მუშაობათ.

საალყო წესები ბულგარეთში

ვენა, 26 თებერ. ბულგარეთის მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა 12 ოლქში, რომლებიც უმთავრესად მდგომარეობენ სამხრეთ-სლავიის საღვართან.

თავის ღონისძიებებს მთავრობა ასაბუთებს კომუნისტური აგიტაციის გაძლიერებით და პარტიზანული მოძრაობის გაფართოებით. მრავალ ოლქში შემოღებულია სამხედრო-საველე სასამართლოები.

ეშინიათ სიმართლის გამორკვევის

ბერლინი, 27 თებ. გერმანიის კომპარტიის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება სარწმუნო ცნობების მიხედვით ამჟღავნებს მოლაპარაკებას, რომელსაც აწარმოებს მთავრობა სოციალ - დემოკრატიულ პარტიასთან და პროფკავშირებთან იმ 750 მილიონი მარკის შესახებ, რომელიც მიეცა რურის მრეწველებს ზარალის ასანაზღაურებლად.

ამ მოლაპარაკებაში მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პასიური წინააღმდეგობის დროს დიდძალი ფული მიიღეს აგრეთვე პროფკავშირებმა და ყველა პარტიებმა, გარდა კომუნისტებისა. მოლაპარაკების დროს ნათქვამია, რომ იმ კომისიის წინაშე, რომელიც ძიებას აწარმოებს ანაზღაურების გაცემის შესახებ, უნდა დაისვას პროფკავშირებისათვის გადაცემული ფულის რაოდენობის გამორკვევის საკითხი. რადგან ასეთი ხასიათის მიცემა საქმისათვის არ არის სასიამოვნო არც ერთი მხარისათვის, წამოყენებულია წინადადება საერთოდ მიჩქმალული იქნეს ფულის გაცემის საქმე.

სოციალ-დემოკრატიული პრესა უკანასკნელ დღეებში სდუმს 750 მილიონი მარკის ისტორიის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ივანოვო - ვოზნესენსკის მუშების დახვრეტის ორგანიზატორის დაპატიმრება.

ივანოვო-ვოზნესენსკი. 24 თებერვალი. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს საგუბერნიო განყოფილებამ დააპატიმრა ყოფილი პოლკოვნიკი სმირნოვი—1915 წ. აგვისტოში ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დახვრეტის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი.

ობლიგაციების იძულებით გავრცელების გაუქმება.

მოსკოვი. 24 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა 1925 წლის 1 მარტიდან შეწყვეტილი იქნას სახელმწიფოს მეორე მომგებიანი სესხის ობლიგაციების იძულებითი გავრცელება.

სრულიად საკავშირო ყრილობა მავნეებთან ბრძოლის შესახებ.

მოსკოვი. 24 თებერვალი. გაიხსნა მე-5 სრულიად საკავშირო ყრილობა სასოფლო მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის შესახებ. ესწრება 100-ზე მეტი წარმომადგენელი ადგილებიდან და საბჭოთა კავშირის ცნობილი მეციერი მოღვაწენი ამ დარგში.

უკრაინა

სრულიად უკრაინის ცაკმა არ დააკმაყოფილა მალინოვსკის მკვლელების თხოვნა.

ხარკოვი. 26 თებერვალი. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მალინოვსკის მკვლელების—პოპანდოპულოს, ტულიუპას და სტეცუნას შეწყნარების შესახებ. **მათ მისჯილი აქვთ დახვრეტა.**

საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის გამო

მისალმებანი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს

ყარაბაღის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

ყარაბაღის სახალხო კომისართა საბჭო ულოცავს მოძმე საქართველოს მუშებს და გლეხებს გასაბჭოების ოთხი წლის თავს—თავადებისაგან, მენშევიკების გამხრწნელ გავლენისაგან განთავისუფლების დღეს. მთიანი ყარაბაღის გლეხობა, რომელიც გულდასმით თვალყურს ადევნებდა საქართველოს ხალხის განთავისუფლებას, აღფრთოვანებულია მისი შვილების—მუშების და გლეხების გმირობით, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს კონტრ-რევოლიუციის ყველა ცდები, მიმართული საბჭოთა საქართველოს მშვიდობიანი განვითარების ჩაშლისაკენ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **კირაკოზოვი.**

აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს გასაბჭოების მეოთხე წლის თავზე აზერბეიჯანის მუშების და გლეხების სახელით აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭო ულოცავს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს დაუვიწყარ თარიღს—25 თებერვალს, როცა მუშებმა და გლეხებმა თავის ხელში აიღეს ქვეყნის მართვა - გამგეობის საქმე და მოკლე ხნის განმავლობაში კულტურულ - სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგებში მიაღწიეს განსაცვიფრებელ შედეგებს, გასული ოთხი წლის განმავლობაში არა ნაკლები შედეგებია მიღწეული ერთა შორის მშვიდობიანობის განმტკიცების დარგში. ძმურ კავშირში თავისუფლად გაერთიანებულმა ამიერ კავკასიის ფედერაციის ერებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, თავი დააღწიეს დაუსრულებელ შეტაკებებს, რომელთაც ხელოვნურად იწვევდა მუსავატელების, მენშევიკების და დაშნაკების მოღალატური ხელი. საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის ყოველ წელს ახალ-ახალი გამარჯვებები და მიღწევები მოაქვს ჩვენთვის.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს ამიერკავკასიის ფედერაციას და საბჭოთა კავშირს!

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე; **მუსაბეკოვი.**

საბჭ. სომხეთის ცაკისა და სახ. კომისარ. საბჭოსაგან

საბჭოთა სომხეთის მშრომელი მასების სახელით ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნიან საქართველოს მშრომელ ხალხს, საბჭოთა საქართველოს არსებობის ოთხი წლის თავის შესრულების გამო. საბჭოთა სომხეთი, რომელიც ყურადღებით თვალყურს ადევნებს მოძმე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელთა მასების ღონისძიებებს და გამარჯვებებს კულტურის და სამეურნეო აღმშენებლობის დარგში, ერთხელ კიდევ რწმუნდება იმ ისტორიული გზის სისწორეში, რომელსაც მტკიცედ და გაბედულად დაადგენ ოთხი წლის წინ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასები, აწარმოებდენ რა განუწყვეტლივ ბრძოლას ნაციონალური სენის დაწყევლილ ნაშთთან, რომელიც შედეგი იყო ბურჟუაზიული, ნაციონალისტური პარტიების ხანგრძლივი მოხერხებული მუშაობის. ჩვენ მოხარული ვართ აღვნიშნოთ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევები იმ პოლიტიკის ნაშთების ლიკვიდაციის საქმეში, რომელიც მიზნათ ისახავდა ხალხთა გათიშვას დ ექსპლოატატორების ბატონობის უზრუნველყოფას ჩვენ არ დავივიწყებთ მშრომელთა დიდი ბელადის ამხ. ლენინის ანდერძს, გამოვსჭედოთ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა სოლიდარობა, აღვადგენთ მეურნეობას და კულტურას და მიუხედავად შინაური და საერთაშორისო მტრების განგაშისა, გამარჯვება [illegible] იქნება მშრომელების მხარეზე.

ვაშა საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა ძმობას, გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიად კავშირს!

ცაკის თავმჯდომარე: **ამბარცუმიანი.**

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **ლუკაშინი.**

ჩრდილოეთ-ოსეთის ცაკისაგან

გილოცავთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოთხი წლის თავს. გისურვებთ კულტურულ-ეკონომიურ დაწინაურებას.

ჩრდილოეთ ოსეთის ცაკის თავმჯდომარე: **ბორუკაევი.**

უცხოეთში მყოფ ამიერ-კავკასიის სტუდენტობისაგან

უცხოეთში მყოფ საბჭოთა ამიერკავკასიის სტუდენტთა კავშირი ულოცავს რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებს საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავს და უსურვებს სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგ წარმატებებს ქვეყნის სამეურნეო და საბჭოთა აღმშენებლობის დარგში.

სამდივნო: **ყანდარელი, მიქაელიანი, მუსტაფაევი.**

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს

ამიერ-კავკასიის პროლეტარულმა სტუდენტობამ, რომელიც ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავის აღსანიშნავათ გამართულ თავის საზეიმო სხდომაზე დაადგინა თქვენი სახით მიესალმოს საქართველოს მშრომელებს საქართველოს ცრუ სოციალისტების, საერთაშორისო ბურჟუაზიის ლაქიების—მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლებისა და მუშების და გლეხების ძალაუფლების დამყარების გამო.

ამიერ-კავკასიის სტუდენტობა ფიცსა სდებს, რომ ის ხელიდან არ გაუშვებს შრომის პროლეტარულ დროშას, რომელიცააფრიალეს საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმურ კავშირს.

პრეზიდიუმი.

მუშათა ცხოვრება

გაგვინათეთ ქუჩები.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

გაზ. „კომუნისტი“-ს ფურცლებზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ის საშინელი სიბნელე, რომელიც მძვინვარებს მუშათა უბანში („დიდუბეში“) საკვირველია აღმასკომის ასეთი გულგრილობა ამ უბნისადმი, თითქოს ამ უბანში სცხოვრობდეს არა მუშა, არამედ შეძლებული ხალხი, რომელიც შესძლებდა თვითონვე თავიანთ ქუჩების განათებას. იყო დრო, როდესაც ელექტრონის ბოძებზე ლამფები ანათებდნენ მთელ ღამეს და ხალხს საშუალებას აძლევდნენ სიარულისას. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ლამფები რაღაცა მიზეზებით მოიხსნენ ბოძებიდან და ეხლა ამ უბნის ყველა ქუჩები საშინლად ჩაბნელებულებია. არის გაკეთებული ქალ. მთავარ სანერგის წინ სამი ლამფა, მაგრამ ამ ლამფებს, როგორც სჩანს „ახალ მთავარეზედ“ ანთებენ ხოლმე, ხან და ხან კი არც მაშინ ფიქრობენ მის ანთებას.

სანერგის წინ ტროტუარი სულ ამოტვრეულია, ეს სიბნელე და ეს ტროტუარი ხომ საშიშოა ადამიანისთვის სიარულის დროს. საჭიროა აღმასკომმა ეხლა მაინც მოხედოს ამ უბანს.

ინფ. ა. გ.—შვილი.

უნდა ალაგმოთ

(ქალ. აღმასკომის განათლ. განყ. საყურადღებოდ)

ა | წ თებერვლის 21-ს მთიელთა საბავშვო სახლის (ვანქის სობორი) პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ძველმა პედაგოგებმა სასაცილოდ აიგდეს ქართულ მუშფაკიდან მოსული კომკავშირის წევრები, რომელთაც სურდათ იქაურ ახალგაზრდა პიონერებთან კავშირის გაბმა.

საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ ძველ პედაგოგებისგან ასეთი საქციელი არ განმეორდეს.

კომკავშირელი ურწოელი.

თუ ამუშავებთ, დააკმაყოფილეთ კიდეც!

(რქ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ)

გასულ წლის ივლისის და აგვისტოს თვეებში წერილობითი განკარგულების თანახმად მოქ. ბირბიჩაძე სადგ. ხაშურის საქ. სადგურზე რიგს გარეშე სამუშევრად იყო გამოძახებული. თანახმად შრომის კოდექსისა მან მოითხოვა ზედ მეტი საათების ნამუშევარი, რაზედაც უარი განუცხადეს. შრომის ინსპექტორს ევალება გამოარკვიოს ეს საქმე და მოქ. ბორბიჩაძე სამართლიანად დააკმაყოფილოს.

მუშკორი ლესი.

ჩვენც გამოუშვით კედლის გაზეთი

(ჩვენი მუხრანელი კორესპონდენტისაგან)

ა | წ. თებერვლის 10-ს სოფ. მუხრანში (დუშეთის მაზრა) ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა: გამოიცეს ყოველ-კვირეული კედლის გაზეთი სახ. „მუხრანის ხმა“. სარედაქციო კოლეგიაში იქნენ არჩეულნი: ამხ. ამხ. მამალაძე, ციხისთავი, შენგელია, ზაქაიძე, და ქაჟაია.

პირველი ნომერი უკვე გამოვიდა 15 თებერვალს. ამავე კრებაზე პ | მ. მუშკორად არჩეული იქნა ამხ. ქაჟაია.

ინფ. მუხრანელი.

მცირე თანხის გამო წარმოებას ნუ აფერხებთ

(მთავარ სახელოსნოს და წევის უფროსების საყურადღებოდ)

რკ. გზის მთავარ სახელოსნოში სდგას მანქანა, რომელიც ამუშავებს ჰაერს და ამ ჰაერით მუშავდება ბევრი რამ. განსაკუთრებით, ეს ჰაერი ესაჭიროება მექვაბეთა საამქროს. ერთი მანქანა ვერ ასწრებს დაამუშავოს საჭირო ჰაერი. ამიტომ გაამზადეს, აგერ ორი თვეც იქნება, მეორე მანქანაც. მაგრამ თურმე უბედურება იმაში ყოფილა, რომ ამ მანქანის დასადგმელი საძირკვლისათვის რაღაც ათეული მანეთები ყოფილა საჭირო და ეს გვიშლის ხელს, რომ ვერ იდგმება მანქანა.

ბოლოს და ბოლოს რაშია საქმე? ნუ თუ მართლა იქამდის გავღარიბდით, რომ ეს ველარ შევძლებით რათა გვეშოვნა ამისთვის ცოტა თანხა, თუ აქ აქვს ადგილი გულგრილობას ამას კი მთელი წარმოებისათვის 30 პროც. ზარალი მოაქვს, ეს ფაქტია. დღეს—ბევრ საამქროებს სჭირდებათ ეს ჰაერი.

ამ გროშების უქონლობის გამო ძველ პრიმიტიული იარაღებს უნდა დაუბრუნდეთ მაშინ ხომ წარმოების წინ წაწევის მაგივრად უკან დაწევაზედ დასჭირდება მოხსენების გაკეთება ამხ. მაისუროვს.

მუშა მექვაბე

კიდევ სამგზავრო ბილეთებზე

(რკ. გზ. მმართველობის თავმჯდომარის ამხ. ივანოვის საყურადღებოდ).

ამხ. ივანოვმა თბილ. რკინისგზების კონფერენციაზე სთქვა, რომ ამის შემდეგ არც ერთი მუშკორის წერილი უყურადღებოდ არ დარჩება მის მიერ, თუ იგი შეეხება ა. კ. რკ. გზებსო და მეც ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ იგი უნაყოფოდ არ ჩაივლის. საქმე შემდეგშია, გზების უფროსის განკარგულების თანხმად, ყველა სამგზავრო ბილეთები კახეთის, ბათომის, ფოთის და ქუთაისის ხაზზე მოგზაურთათვის ამ. კ. რკ. გზ. დარგებში უნდა იწერებოდეს სახელმწიფო ენაზე,—ქართულზე. ეს განკარგულება თითქმის ყველა დარგებს მოჰყავთ სისრულეში, მაგრამ სამმართველოს ადმინისტრატიული დარგი დღემდის განაგრძობს ბილეთების წერას ძველებურად ყველა მიმართულებით.

რაშია საქმე? ნეტა რას აკეთებს გაეროვნების გამტარებელი კომისია, ან იქნებ იგი სრულიად აღარ არსებობს?

მუშკორი კობა—ლი

ჩვენ რაღა დაგვაშავეთ?

(ზაკტპოს და მუშკოოპის საყურადღებოდ).

ამ ბოლო დროს წითელი სასადილოები მოეწყო ყველგან; თითქმის თითო უბანში ორი, სამი სასადილოა, მაგრამ როგორც ეტყობა „ზაკტპოს“ და მუშკოოპის გამგეობებს არ უფიქრნიათ იმ უბანზე, სადაც ჯერაც არ არის გახსნილი ეს წითელი სასადილო. ასეთი უბანი გახლავთ **დიდუბე**, სადაც მცხოვრებთა უმეტესი წილი მუშებია, და აი სწორედ ეს მუშა ხალხი იძულებული ხდება წავიდეს მეორე უბანში სადილის საჭმელად.

საჭიროა ამ მუშათა უბანში (დიდუბეში) წითელი სასადილოს გახსნა.

ინფ. ალ. ანაშვილი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გუშინ, 27 თებერვალს, დილით იდგა შემდეგი დარები:

ბათომი, ზღვაზე სიწყნარეა, მოწმენდილი და წყნარი ამინდია, სითბო—9 გრად.

ქუთაისი. წყნარი მოღრუბლული ამინდია, სითბო უდრის 8 გრადუსს. გუშინ ღამით სწვიმდა.

ჭიათურა. წინა დღით მოდიოდა წვიმა. 27 თებერვალს მოღრუბლული დღეა, წყნარი ამინდია, სითბო უდრის—2 გრად.

გორი. საგრძნობი ღრუბლიანობა. ყინვა უდრის 4 გრადუსს.

ბაქო. ზღვაზე ოდნავი ღელვაა, ქრის სამხრეთ—აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი. სითბო უდრის—5 გრად.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით.

ბათომი	ცელსიუს.	სითბო	9	გრად.
ქუთაისი	„ „	სითბო	8	გრად.
ჭიათურა	„ „	სითბო	2	გრად.
გორი	„ „	ყინვა	4	გრად.
ბაქო	„ „	სითბო	5	გრად.

ქრონიკა

— **კურორტი ახტალა.** თბ. დამზღვევ კასამ შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, კურორტ ახტალის მასზე გადაცემის შესახებ. კურორტი გამოყენებული იქნება ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა საქმიოთ.

— **სოც. დაზღვევის სამმართველომ** მიმდინარე წლის მუშათა შორის სოც. დაზღვევის შესახებ აგიტაცია-პროპაგანდის გასაწევათ გადასდო 4515 მან.

— **საზამთრო კურორტებისათვის** სოც. დაზღვევის სამმართველოს მიმდინარე წელში გადადებული აქვს 33,165 მან.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** გასულ წელს შეიძინა 4,000 ფუთამდე სელექციურ ბამბის თესლი.

— **ღვინის მოსავალი.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობებით დასავლეთ საქართველოში წელიწადში საშუალოთ მოდის 2.663.000 ვედრო ღვინო.

— **ჯიშიან ცხენების მოშენება.** ცხენთა საჯიშოების განყოფილება 1 მარტიდან თბილისში ხსნის ცხენთა საგრილებელ პუნქტს.

— **სტაჟი დაზღვევისათვის.** თბ დამზ. კასის პრეზიდიუმმა დაადგინა სავალდებულო გახადოს ყველასათვის უმუშევრობის დაზღვევის შემთხვევაში მუშაობის 5 წლიანი სტაჟი.

— **უმუშევართა დაზღვევის განყოფილება** 2 მარტიდან შეუდგება უმუშევარ დაზღვეულთათვის თებერვლის თვის დახმარების გაცემას.

— **დამზღვევმა კასამ** დაავალა ექიმ მუსხელიშვილს და ოსპისოვს გამოარკვიონ, თუ რამდენათაა გავრცელებული დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებში თვალების, ყურების და ცხვირის ავადმყოფობანი.

— **ჰაეროდრომისათვის.** კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ჰაეროდრომის (ნავთლუღში) გასაფართოებლათ თბ. აღმასკომმა გადასცა ჰაეროდრომთან მდებარე ნაკვეთი მიწა.

— **ახალი სახლობი.** თბ. კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა პასაჟ-კრომშკის ქ. მდებარე თავისუფალ ადგილზე აგებული იქნას ერთსართულიანი სახლები ერთნაირი გეგმით მთელი ქუჩის გასწვრივ.

— **ტრამვაის მუშაობის გასაფართოებლათ.** თბ. კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა განთავისუფლებული იქნას ტრამვაის პარკის შენობები შიგ მცხოვრებ მოსამსახურეებისაგან, ტრამვაის მუშაობის გაფართოების მიზნით.

— **„პროლეტარები“-ს სახლების** სახლი (საბურთალოზეა), რომელშიაც სცხოვრობენ ყრმა პიონერები, თბ. აღმასკომმა გაანთავისუფლა საბინაო ქირისაგან.

— **პოლიტკატორღელთა საზ-ბამ** შუამდგომლობა აღძრა თბ. აღმასკომის წინაშე, რათა სასანგრო ქუჩას ამიერიდან ეწოდოს ტეტიუცკის ქუჩა.

— **რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს** შეკეთება სწარმოებს დაჩქარებით. შეკეთება დასრულდება ამ დღეებში.

— **კბილის საექიმო დახმარება პროვინციებს.** ჯანსახკომი შეუდგა კბილის საექიმო რაზმების გაგზავნას იმ მაზრებში, სადაც რაზმები დღემდე არ ყოფილან.

შემთხვევები

— მკვლელობა. 26 თებერვალს, ღამით მატინოვის ქ. № 17-ში ნიკოლოზ რომმა დაახრჩო ხელით თავისი დედა იულია რო. მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ბრალდებული დაპატიმრებულია.

— თავისდაჭრა. 26 თებერვალს ღამის 12 ნახ. საათზე, პუშკინის ქ. № 7-ში მდებარე სასადილო „წითელი კახეთ“-ში თავის მოკვლის მიზნით დაიჭრა თავი მილიციის ყოფილმა თანამშრომელმა ნაჭყეპიამ, რომელიც მოთავსებული იქნა მთავარ საავადმყოფოში.

— მითვისება. 26 თებერვალს ინვალიდების არტელის „წითელი მეომრის“ ფურნის ამხანაგობის წევრმა ვარლამ ურუშაძემ განაცხადა, რომ ერთ ამხანაგთაგანმა თეოფილე მხეიძემ მიითვისა არტელის პურის ფული 250 მან. და მიიმალა.

— ქურდების შეპყრობა. 26 თებერვალს მოდარაჯე მილიციელის მიერ წარმოდგენილი იქნა სამმართველოში ქურდი ვასილ მამულაშვილი, რომელსაც საბალოს ქუჩაზე ციხელაშვილისათვის მოუპარავს ნივთები.

— 26 თებერვალს დილით საუფლისწულო ქ. № 8-ში გერაია შუკუროვის ბინიდან მოპარული იქნა სხვა და სხვა ნივთები. ბოროტმოქმედი შეპყრობილი იქნა მოდარაჯე მილიციელის მიერ ქუჩაში ნაქურდალი ნივთებით. უკანასკნელი აღმოჩნდა ნიკოლოზ მატისოვი.

— ქურდობა. 26 თებერვალს ელენე მელიშევამ, მცხ. ფრეილინის ქ. № 9-ში განაცხადა, რომ მას მოპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 40 მან.

— 26 თებერვალს ღამით ალექსანდროვის ქ. № 3-ში გაქურდულ იქნა ლიდა მაილუცკოვის ბინა, საიდგანაც წაღებულია 50 მან. ნივთები.

— 26 თებერვალს დღისით ანდრეევის ქ. № 23-ში ოლღა ხუნდაძის ბინიდან მოპარული იქნა 1 პალტო, ღირებული 70 მან.

— ამას გარდა, 26 თებერვლის განმავლობაში ქალაქში მოხდა კიდევ 8 წვრილი ქურდობა.

ხელოვნება

— საღამო. დღეს, საღამოს 9 საათზე, მე-14 შრომის სკოლის სასარგებლოთ იმავე სკოლის დარბაზში (პასკევიჩის № 4) გაიმართება საღამო-კონცერტი ოპერისა და დრამის მსახიობთა, დამსახურებულ სახ. მსახიობის ნ. გოცირიძის, პოეტ ი. გრიშაშვილის და თარხნიშვილების გუნდის მონაწილეობით.

— რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „დაისი“.

— ცირკში—ფრანგული ჭიდაობა.

— ახალი თეატრი—დღეს პროგრამა № 4.

დღეს კინოებში:

— არფასტო—„უცნობი ქალი, მისი ცოლი“.

— მინიონ—„ფარაონის ცოლი“.

— სოლეი—„ფარაონის ცოლი“.

— აპოლო—„სარდაფის ბავშვი“.

— ოაზის—„ცირკის მეფე“ უკანასკნელი სერია.

— თვითმფრინავი—„იაუჩის მწუხარება, იაუჩე“.

— აისი—„სიყვარულის მეფე“.

პროვინციაში

სოფ. შინდისი

(თბილისის მაზრა)

სოფ. შინდისი 4—5 ვერსის მანძილზე მდებარეობს ქ. თბილისიდან. როგორც სხვა თბილისთან ახლომდებარე სოფლები, ეს სოფელიც კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილია. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 126 კომლს. არსებობს მხოლოდ ერთი დაბალი საფეხურის სკოლა, სადაც არის ორი ჯგუფი და სწავლობს 68 მოწაფე.

სკოლის გამგე შეძლებისადაგვარად სცდილობს სცოდნის გავრცელებას სოფლად. წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში აქ უკვე დამთავრდა მეცადინეობა და კურსი დაამთავრა 44-მა წ.-კ. უცოდინარმა. მათ შორის ქალი არის 14 და მამაკაცი 30.

აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში არის ერთი ქალი მასწავლებელი, რაც ხელს უწყობს იმას, რომ შესაძლებელი ხდება ბრძოლა წ. კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ დედაკაცთა შორის. მამაკაცს კი ეს პირდაპირ არ შეუძლია, ვინადან როგორც ს. შინდისში, ისევე მის მეზობელ სოფლებში რაღაც ტრადიციის გამო ქალები პირდაპირ უფრთხიან მამაკაცებს. ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ ყველა სოფლის სკოლებში დანიშნული ყოფილიყო თითო მასწავლებელი—ქალი მაინც.

სკოლის შენობა აქ მოთავსებულია ყოფილ გურგენბეგოვის სახლში, რომელიც დიდ შეკეთებას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შენობა დაინგრევა სულ უბრალო მიზეზით.

სკოლასთან არის აგრეთვე ხეხილის ბაღიც. ყველაფერს ამას სჭირდება ფული და პატრონობა, მაგრამ სამწუხაროდ ორივეს ამას მოკლებულია სოფელი. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ქალაქთან ასე ძლიერ ახლოა, მას არ ჰყავს შეფი. სასურველია რომელიმე დაწესებულება იკისრებდეს შეფობას ამ სოფელზედაც და გაუწევდეს მას დახმარებას.

შ. ლორთქიფანიძე.

კაცხის თემი

(შორაპნის მაზრა)

კაცხის თემი აერთიანებს 5 სოფელს. მდებარეობა აქვს მთა-გორიანი. ჭირნახულში გავრცელებულია სიმინდი, ლობიო და აქა-იქ სთესვენ პურს და ქერს. მოდის საყოფი ღვინო.

არც ერთი ყოფილი მთავრობის დროს არ შეუძენია კაცხის თემს იმდენი, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლების დროს. დაარსებულ იქნა: 7 წლედი და მასთან 4 წლედებიც განაპირა სოფლებში. არსებობს სამკითხველო, აგრეთვე კლუბი. შესდგა დრამ. წრე, რომელიც კარგად მუშაობს. არსებობს კოოპერატივი.

ამ ორი წლის წინათ გზები ძლიერ ცუდი იყო, მაგრამ შემდეგ გაკეთებულ იქნა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ გვაქვს ტელეფონის ხაზი. საჭიროა როგორც ადგილობრივმა, ისე სამაზრო აღმასკომმა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება.

ნოე ღვთითრისპირელი.

სოფ. კახათი

(ზუგდიდის მაზრა)

კახათი ზუგდიდის მაზრაში ერთი დიდი სოფელთაგანია. აქ ითვლება 700 კომლი. საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან სოფელს ეტყობა ყოველმხრივ წინსვლა. არსებობს 7 წლედი და ამ სკოლასთან გახსნილია სამეურნეო განყოფილება, სადაც მოწაფეები იძენენ სამეურნეო ცოდნას თეორიტიულად და პრაქტიკულად. სკოლასთან არსებობს საცდელ-საჩვენებელი მინდორი, სადაც კეთდება სხვადასხვა ცდეები.

მცხოვრებთა უმრავლესობა მხვნელ-მთესველია, მოყავთ სიმინდი, ბამბა, პური და ნარინჯოვანი მცენარეები.

კლუბი ჯერ-ჯერობით არ არის, მაგრამ სკოლის დარბაზში იმართება წარმოდგენები და ლექციები. დაარსებულია პოლიტიკური და სამეურნეო წრეები, რომლებსაც აუარებელი ხალხი ესწრება.

თემში არსებობს რემედასის და საჰაერო ფლოტის მეგ. საზოგადოება, არსებობს ქოხ-სამკითხველო, რომელსაც სისტემატიურად მოსდის გაზეთები. სამკითხველოსთან არსებობს მოძრავი ბიბლიოთეკა.

გლეხ-კომის და კოოპერატივის მუშაობა სუსტია.

კომკავშირის მუშაობა ძალიან ფართედაა დაყენებული. თემში არსებობს სამი უჯრედი.

მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ ასეთ მრავალ რიცხოვან თემს არ ჰყავს ექიმი, რომლის საჭიროება მეტად დიდია.

ადგილობრივი აღმასკომი დახმარებას უწევს კულტურულ საქმეებს.

ახკომაგრ.

სოფ. ხოვლე

(გორის მაზრა)

სოფ. ხოვლეში სცხოვრობს 650 კომლი. აქ არსებობს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 140 მოწაფე. მასწავლებლები დიდის ენერგიით ეპყრობიან თავის საქმეს, მათი მუშაობით ძალიან კმაყოფილი არიან გლეხ-მოწაფეები და მათი მშობლები.

სოფ. ხოვლეში დაარსებულია ახალგაზრდობის კომუჯრედი, რომელთანაც მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ მასწავლებლებს.

არის აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობი სკოლა, რომელშიაც გლეხები დიდის ხალისით დადიან სასწავლებლათ.

სოფ. ხოვლე შეფობაზე აყვანილ ჰყავს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის ბანკს. შეფმა 1924 წ. სოფ. ხოვლეს გაუხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, გამოუწერა ჟურნალ-გაზეთები და აგრეთვე პერიოდული გამოცემანი.

23 თებერვალს შეფმა აქ დაარსა აგრეთვე კოოპერატივი, გაუხსნა მას კრედიტი და გაუგზავნა ორი ათას ექვსასი მეტრი ნარმა და ოთხას თუმნამდე სხვადასხვა საქონელი.

იმედია მომავალშიც გაუწევს იგი დახმარებას სოფ. ხოვლეს გლეხობას.

მუშა ი. ედ—შვილი.

ტობანიერის თემი

(ქუთაისის მაზრა)

თემის სკოლები განიცდიან დიდ სივიწროვეს როგორც შენობების მხრივ ისე სკოლის სხვადასხვა საჭირო ნივთების მხრივაც. მაგალითად ცენტრში (შვიდწლედში) სწარმოებს მეცადინეობა დილა-საღამოთი. სკოლას არა აქვს უბრალო შუშის მილებიც კი ფიზიკურ კაბინეტისათვის, ხოლო ბუნებისმეტყველების კაბინეტზე ლაპარაკიც ზედმეტია. რასაკვირველია ეს დიდი დანაკლისია როგორც სკოლისთვის, ისე მოწაფეთათვის. ადგილობრივ თემის აღმასკომი კი, ვერაფერ დიდ დახმარებას უწევს სკოლას, ვინაიდან ორი წელია სწარმოებს მუშაობა ახალი სასკოლო შენობის ასაგებათ (38 თვალი). 1924 წლის განმავლობაში თემის აღმასკომს სკოლის საჭიროებისათვის დაუხარჯავს 137 მანეთამდე, რაც არაფერს წარმოადგენს. შვიდწლედს აქვს მემკვიდრეობით გადმოსული ღარიბი წიგნთსაცავი, რომელიც განახლებას მოითხოვს, მაგრამ სკოლას არა აქვს ერთი კაპიკი საკუთარი თანხა. სამწუხაროდ წელს ეს წიგნთსაცავიც დაკეტილია და ალბათ შკაფებში თაგვები დათარეშობენ. თუ კი გამგეს არ ევალება წიგნების დარიგება მოწაფეებისათვის, რატომ არ გადასცემს წიგნთსაცავს სკოლის თვითმართველობას? და თუ თვით გამგეს ან თანაშემწეს ევალება, რათ დაუკეტავთ შკაფის კარები? მე მგონია სკოლის გამგე აწ მაინც მოაწესრიგებს ამ საკითხს

სკოლის გამგე ღირსეული კაცია და ღირსეულადაც ასრულებს თავის მოვალეობას. სოფლის გლეხობაც ნდობის თვალით უცქერის. ის არჩეულია თემის აღმასკომის წევრათ. მუშაობს სხვადასხვა კულტურულ კომისიებში. მაგალითათ ის არის თემის სამკითხველოს გამგეობის წევრი და კარგათაც არის სამკითხველოში დაყენებული საქმე.

შუამთელი.

პროვინციის ქრონიკა

— **უფასო წამლეულობა.** თბილ. ჯანმრთ. განყოფილებამ წინადადება მისცა ასურეთის აფთიაქის გამგეს მოწაფეებს აფთიაქიდან უფასოთ მისცეს წამლები.

— **სოფ. ედიკილისიდან.** (თბილ. მაზრა) საექიმო ფუნქტი გადატანილი იქნა სოფ. აკრამლოში.

— **საქონლის ჭირი.** საგარეჯოში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომლის წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

— **ჭიათურაში.** ამ ჟამად ითვლება 4450-მდე დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **სოციალური უზრუნველყოფა.** გასული წლის ოქტომბერ—ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში გორის სოც. უზრ. ინსპექციამ დაურიგა დახმარების სახით 401 მოქალაქეს 1098 მან.

— **ახალქალაქის** სამაზრო აღმასკომის ინიციატივით 8 თებერვალს ახალქალაქში შესდგა თემაღმასკომების მდივნების თათბირი.

— **გორის** აღმასკომმა დაუგზავნა ყველა თემებს სააღრიცხვო ბარათები, თემებში მყოფ ინვალიდების აღრიცხვაზე ასაყვანათ.

— **ლეჩხუმის** მაზრის სოფ. ლისხანის მცხოვრებლებმა დაადგინეს სთხოვონ სამაზრო აღმასკომს სათემო აღმასკომის სოფ. დეხვირში გადასატანათ.

— **წითელი სასადილოები.** დაბა ჭრებალოში და ლაილაში (ლეჩხუმის მაზრა) არსებული წითელი სასადილოები სამაზრო გლეხკომს თვიურათ აძლევს 300 მან. შემოსავალს.

— **აფთიაქის გახსნა.** ამ დღეებში სოფ. აწყურში (ახალც. მაზრა) ზეიმით გაიხსნა აფთიაქი. გახსნას დაესწრო დიდძალი გლეხობა.

— **ახალქალაქის** აღმასკომმა გადასდო 500 მან. ადგილობრივ სამხედრო კომისარიატის საკრებულო პუნქტების მოსაწყობათ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

საცხოვრებელ ნორმის შესახებ

კითხვა

გთხოვთ განგვიმარტოთ შემდეგი: ჩვენი ოჯახი, რომელიც შესდგება 4 სულისაგან, მცირეწლოვანი ბავშვით სცხოვრობს ერთ პატარა ოთახში, სივრცით 30 კვ. არშ., ხოლო ჩვენს გვერდით კი ცხოვრობენ რძალი და მაზლი, რომელთაც დაკავებული აქვთ ორი ოთახი: **ერთი 30 კვ. არშ. მეორე კი 40 კვ. არშ.** და აგრეთვე „პოდიეზდიც“, რომელიც შეადგენს ჩვენი ოთახის ნახევარს და შეიძლება პატარა ოთახად იქნას გამოყენებული. ჩვენ მოვითხოვთ, გადაგვიყვანონ 40 კვ. არშ. ოთახში, რომელზედაც მიდგმულია „პოდიეზდი“, რაც საშუალებას მოგვცემს ოთხ სულს ასე თუ ისე ადამიანურად ვიცხოვროთ, ხოლო იმათ (ორ კაცს) მიეცეს ორი ოთახი, ერთი ჩვენი—30 კვ. არშ. და მეორეც ისეთივე ზომის ოთახი, რომელიც ამჟამად მათ უკავიათ.

გთხოვთ განგვიმარტოთ, არსებობს თუ არა რაიმე საცხოვრებელი ნორმა, რომელზე დამყარებითაც ჩვენ შეგვეძლოს მივმართოთ სათანადო საბინაო სასამართლოს თუ სხვა ორგანოს ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის გასატარებლად.

ა. ქ.

პასუხი

თანახმად საქართ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1925 წ. 18 თებერვლის თარიღით, საცხოვრებელ ნორმად თითოეულ მდგმურზე დაწესებულია ამა წლის პირველ მარტიდან ოცი ოთხკუთხედი არშინიანი სივრცე. ამ ნორმის მიხედვათ თქვენ შეგიძლიანთ მოითხოვოთ თქვენი მეზობლის შემჭიდროება და თქვენი ბინის მოედნის გაფართოება აღნიშნულ ნორმის ფარგლებში.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ელისაბედის ქუჩაზე სახ. № 26-ში (მეორე სართული). მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით **13 კვ. არშინი.** ვმსახურობ მექ. საარტ. ქარხანაში და დღემდე ჯამაგირს ვღებულობდი მე-7 ხარისხით **34 მან. და 16 კაპ.**, ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 634).

გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად თვიურად და თუ სახლის პატრონი კანონიერ ქირას არ მიიღებს, როგორ მოვიქცე?

ი. ბოჭორიშვილი.

პასუხი

ა/წ. პირველ მარტამდის ბინის ქირად თვიურად იხდით **ცამეტ კაპეიკს (13 კაპეიკს)**

კითხვა

მე ვცხოვრობ ფოსტის ქუჩაზე სახ. № 21-ში (მე-7-დე კომისარიატში) და მიჭირავს ერთი ოთახი, სივრცით **30 კვადრ. არშინი.** სამზარეულო არა მაქვს. პირველ ღვინობისთვიდან პირველ იანვრამდის სახლის პატრონისთვის **მიმიცია 5 მან. ბინის ქირად.**

გთხოვთ განმარტებას, ერგება თუ არა სახლის პატრონს კიდევ ფულადი დამატება ჩემგან. მე ვარ პროფკავშირის წევრი (წიგნაკის № 871). ჯამაგირს **ვღებულობ 52 მან.** თვეში. მყავს ოთხი სული შესანახი.

გთხოვთ მაცნობოთ, თუ რამდენი უნდა გადაუხადო ბინის ქირად სახლის პატრონს—ა/წ. პირველ იანვრიდან.

პროფკავშირის **წევრი ალ. ზერძენოვი.**

პასუხი

ა/წ. პირველ მარტამდის ბინის ქირად თვიურად იხდით ექვს შაურს. დამატებით გადახდა თქვენ არ გეკუთვნით. **რადგანაც 1924 წ. პირველ ოქტომბრიდან ა/წ. პირველ მარტამდის თქვენ გადაგხდებათ მხოლოდ მანეთ ნახევარი, თქვენ კი გაქვთ მიცემული ხუთი მანეთი, რომლიდანაც თქვენ გერგებათ ხურდახ სახით სამ მანეთ ნახევარი.**

ვინ უნდა დაგვეხმაროს

კითხვა

ჩვენ სამი დები ობლები მთავრობის დახმარებით ვსწავლობთ თბილისში. სოფელში გვქონდა სახლი. ეს იყო ერთად-ერთი უკანასკნელი თავშესაფარი, სადაც საშუალება გვეძლევოდა სასწავლებლებიდან დათხოვნის შემდეგ გვეცხოვრა. ეს ჩვენი საარსებო წყარო დიდი თოვლის გამო დაინგრა. მისი შეკეთება ჩვენ არ ძალგვიძს, თუ არ გაგვიწევს საბჭოთა ხელისუფლება დახმარებას. გთხოვთ რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ ვის მივმართოთ დახმარებისათვის ან როგორ მოვიქცეთ.

სამი დები—მოწაფეები.

პასუხი

დახმარების აღმოსაჩენად მიმართეთ ადგილობრივ გლეხთა კომიტეტს და მაზრის გლეხკომის საშუალებით სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

აქვთ თუ არა უფლება ბინიდან გამომასახლონ

კითხვა

სასამართლოს ქ. სახლი № 19, წითელარმიელს ამხ. ბარამიძეს ეჭირა ერთი ოთახი. სასამართლოს დადგენილებით ხსენებული პირი უნდა გამოესახლებიათ. მე განვაცხადე „უქს“-ში, რათა ოთახი გადმოეცათ ჩემთვის. „უქს“-მა მომცა ორდერი გ. წ. 20 დეკემბერს № 4022-ით აღნიშნულ ბინაზე და ვსცხოვრობ კიდევაც შიგ. ამხ. ბარამიძე ჩემთან აღარ სცხოვრობს. გთხოვთ მიპასუხოთ, სასამართლოს იმ დადგენილების ძალით, რომელიც შეეხებოდა ამხ. ბარამიძეს, სახლის პატრონს შეუძლიან თუ არა გამომასახლოს ბინიდან.

წითელარმიელი
დ. ლიპარტელიანი.

პასუხი

თქვენ გაქვთ ბინა დაკავებული ქ. აღმასკომის „უქს“-ის ნებართვით და მის მიერ გაცემული ორდერით და არა თვითნებობით. სასამართლოს დადგენილება მიმართულია პირადათ ბარამიძეზე და თქვენ იგი სრულებით არ გეხებათ.

სახნავ მიწის ნორმის ოდენობა გურიაში

კითხვა

ვცხოვრობ ოზურგეთის მაზრაში, სოფ. ჩოჩხათის თემში. ჩემი ძირითადი პროფესიაა მიწის მუშაობა. მაქვს სამოსახლო და საყანე მიწიანად ოთხ-ნახევარი ქცევა. ამავე დროს ჩვენი ოჯახი შესდგება ექვსი სულისაგან. ზემოთაღნიშნულ მიწის გარდა, ცალკე მაქვს ორი ქცევა—საყანე მიწა, რომლიდანაც ვასაზრდოებ აღნიშნულ ოჯახის წევრებს.

ხსენებული თემის საბჭოს თავმჯდომარე მემუქრება აღნიშნულ მიწის ნაწილის ჩამორთმევით.

გთხოვთ მოგვცეთ პასუხი, თუ რამდენადაც სამართლიანი იქნება ხსენებული მიწის ჩამოჭრა!

მიწის მუშა ქედისძირელი.

პასუხი

მიწის ნორმის განსაზღვრას საფუძვლად უდევს ცალკე მეურნეობა (ოჯახი) და მიწის ავკარგიანობა. მიწის ნორმა წესდება საშუალო ოჯახზე; საშუალო ოჯახად კი ითვლება თითოეული სამეურნეო ერთეული (ოჯახი) **სამიდან—ხუთი სულისაგან** შემდგარი; როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, მაშინ ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის **ერთი** მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება ამდენივე თითოეულ (ნაკლებ) სულზე.

გურია მიწის ნორმის განსაზღვრის მხრით ეკუთვნის მე-5 რაიონს, მისი სახნავ-სათესი მიწის ეწერი' და სხ. ნორმა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ დესეტინას (დაახლოვებით 18 ქცევა მიწას) თქვენ სარგებლობაში მყოფ მიწის ოდენობა კი არ აღწევს შვიდ ქცევასაც, ამიტომ სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მუქარა და მოთხოვნილება უნდა ჩაითვალოს სრულიად უკანონოდ და დაუშვებლად. მისი მოქმედება თქვენ შეგიძლიანთ განასაჩივროთ საადგილ-მამულო განყოფილებაში **(იხ. მიწის კოდექსი, თავი მე-2, მუხ. 60, 61, 62, 63 და 64).**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 5

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიურის თაობაზე 1925 წ. იანვრის 24-ს თარიღითა და 1-ლი №-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიურის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 24-ის თარიღითა და 1-ლი №-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„2.—აღნიშნულ დღეებში (1925 წ. მარტის 2, 3 და 4) საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ცალობითი ვაჭრობის დაწესებულებათა მყიდველთ, დაბალი ხარისხის სავაჭროების გამოკლებით, გადაჭხდეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ განსაკუთრებული გამოსაღები ათი პროცენტის (10 პროც.) წამატებით ნაყიდი საქონლის ფასზე; ხოლო სავაჭრო-სამრეწველო და საექსპორტო დაწესებულებათ გადაჭხდეთ იმავე საზოგადოების სასარგებლოდ სამი დღის შემოსავლის 10 პროცენტიანი ანარიცხი წლიური საშუალო ბრუნვის მიხედვით“.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1925 წ. თებერვლის 27
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ცეკას საორგ. განმან. განყოფილება სთხოვს ამხ. ვ. ხმალაძეს გამოცხადდეს ც. კ. საორგ. განმანაწ. განყოფილებაში ამხ. თაყაიშვილთან.

— დღეს, 28 თებერვალს, საღ. 6 საათზე, ს. კ. პ. ცეკას სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 22 მეორე სართული) შესდგება პირველი რაიონის კედლის გაზეთების რედაქტორების თათბირი. თათბირზე უნდა გამოცხადდნენ რედაქტორები კედლის გაზეთების, მთავარ სახელოსნოების: დეპოს, საბარგო სადგურის, ა/კ. რკ. გზების სამმართველოსი, ამიერ-კავ. რკ. გზის საგ. კომისიის (ჩეკა), რკ. გზ. საავადმყოფოსი, რკ. გზ. სტამბის, ა/კ. რკინის გზის მცველი რაზმის, ზაკტეპოსი, შემკრები სამსახ. დარგისა, მე-6-ე უბნის მოძრაობის დარგისა, ა/კ. რკ. გზ. პროფგანათლებისა მოძრაობის დარგისა, რკ. გზ. მუშფაკის, მ 0/2 მთავარ საწყობის.

დასწრება სავალდებულოა.

— კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პლენუმი. წინადადება ეძლევა ყველა წევრებს და კანდიდატებს გამოცხადდნენ აღნიშნულ ალაგს დაუგვიანებლად.

— დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. მდივანი გააკეთებს მოხსენებას: „ბავშვთა პიონერულ მოძრაობის ორგანიზაციული სტრუქტურა“ (ქართულ ენაზე).

— ორშაბათს, 2 მარტს, საღამოს 5 საათიდან, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. ნიკოლოზ ოკუჯავა შეუდგება მეცადინეობას საბჭოთა ძირითად კონსტიტუციაზე (ქართულ ენაზე).

— თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდნენ ამხ. კოჟაიანთან: ბუდ ნაშილი პავლე, ავაქიანი ოგანეს, ჯაფაროვ აბდულ გამზა, ქოიავა ალ., ციხვაია ალ., ვართანოვი ნერსეს, ჩიქვაიძე ლევან, ტურბინი ალ., მალუმიანი მიხეილი, ალექსეევი სტეფანე, ვოლკოვი რომან, ნაზარიან ნაზარ, ჯილოევი ლადო, კუპატაძე ივანე, მაკარჩუკი, თოდუა ილარიონ და ხორავა გიორგი.

განცხადებები

გულმოკლულნი: მამა სვიმონი, დედა ოდდეა, ძმა სიკო, და დები ვარია და მარიამი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 1-ლ მარტს 10 საათზე იქნება გადახდილი პანაშვიდი ტრაღიკულათ დაღუპული

ერასტო შუაქრიშვილის
და
ლიზიკო ციციშვილის

40 დღის აღსანიშნავად კვირას (ყოფილ ნიკოლოზის) სასაფლაოზე.
497. 1—1

გულდათუთქული მშობლები: ელენე და გერასიმე (ერასტი) და თაჰარა და ძმა ჟენია წულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 1 მარტს 12 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

ვალოდია წულაძის

და პირველის ტკბილი დედის, მეორესი დაუვიწყარი დედამთილის, მესამე და მეოთხესი კი ძვირფასი ბებიას

ეკატერინე დავითის ასულის ქადეიშვილის

გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების გამო
491. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პელაგია ნიკოლოზის ასული ფალავასი, ასული ანტონინა (ტონიჩკა) და ძმა მელქისედეკ ფალავა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

დავით (დათა) გიგოსძე ფალავას

გარდაცვალებას სოფ. ბანძაში.
495 1—1

ღრმად დამწუხრებული ქმარი ალექსანდრე გიორგისძე ანდღულაძე, დედა გულჩინ, მამა იოსებ მიქელაძენი, დედამთილი ნინა, ბებია ელისაბედი, მულები გუგული ჩაჩანა, და ნინა, სიძე სევერიანე მატარაძეები შვილებით, ბიძა ვასო და სამუელ, მამიდები: ნატაშა, ემელია და ნინუცა ანდღულაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი

თამარ იოსების ასული მიქელაძე-ანდღულაძის

დაკარგვის ორმოცი დღის სამოქალაქო პანაშვიდს, რომელიც დანიშნულია 1-ლ მარტს ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე 12 საათზე.
872 1—1.

კვირას, 1-ლ მარტს შუადღის 12 საათზე, საზოგადო მოღვაწის

ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების თავზე, დიდუბის პანთეონთან გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ელისაბედ დავითის ასული შვილებით, დათიკო, ნიკო და ვახტანგი როსტომაშვილები ცოლშვილებით, ბაბო როსტომაშვილი, ტასო და ალექსანდრე ახმეტელი, მარო და კოტე ჯაფარიძეები შვილი-შვილებით.
1—1 ქვ. 493

კვირას, 1 მარტს ა/წ. გადახდილი იქნება

მიხეილ ალექსანდრეს ძე გიუიშურელის

ორმოცი დღის პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ ქვრივი ევგენია გიქიმურელისა შვილებით, შვილი-შვილებით, სიძით და რძლებით. პანაშვიდი გადახდილი იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ნაშუადღევის 1 საათზე.
1—1 ქვ. 492

უდროოდ დაობლებულნი: ნინო, ქეთევან და თამარი, ძმა ელიზბარ ყანჩაველი, ბიძაშვილი კოტე მაჭავარიანი, მულები: ნინა გედევანიშვილისა და თამარა რატიშვილისა და მაზლი ირაკლი ზაალიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 27 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნადია ქაიხოსროს ასული ზაალიშვილისა

გამოსვენება მოხდება ალექსანდროვის საავადმყოფოდან, კამოს ქუჩა. დაკრძალვა კვირას, 1 მარტს, წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ—ვერაზედ.
498 1—1

სახელმწიფო თეატრი
რუსთაველის თეატრი
დღეს, 28 თებერვალს
დაისი
კვირას, 1 მარტს
დემონი
ნ. 874 1—1

განათლების მუშაკთა კავშირის
1-2-3-7 და 8 ადგილკომებში შემავალ კავშირის წევრთა
საყურადღებოთ [illegible]
შაბათს, 28 თებერვალს, დილის 11 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში. ც. გ. სამდივნო. ნ. 873 1—1

კავკასიის სამხედრო წიგნებით ვაჭრობა
„კავკნიგტორგ“
(КАВКНИЖТОРГ)
კომინტერნის ქ. № 6 (ყოფ. სასახლე)
იყიდება
საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის და სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის ამხ.
მ. ვ. ფრუნზეს სურათები
წარწერით რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.
ფასი 50 კაპ. თვითეული. გამყიდველებს შეღავათი.
ნის. 875. 2—1

პირველ გაიხსნა თებერვლიდან
თათრების მოედანზე, აბანოების ქუჩა № 1
მევენახე და მეღვინე გლეხთა კოოპერატიული სასადილო
ბაღდადი
ვისაც სურს გემრიელად, სუფთად და იაფად ისაუზმოს, ისადილოს და ივახშმოს, ნუ დაივიწყებს სასადილო „ბაღდადს“ სასადილოში მზადდება ევროპიული, აზიური და სპარსული საჭმელები.
პირველ გაიხსნა თებერვლიდან
ნ. 745 10—10

ქალ. ახალსენაკში სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების
სავაჭრო სექციამ
გახსნა
ჭავჭავაძის ქუჩაზე ევროპიულათ მორთულ-მოწყობილი პირველ ხარისხოვანი სასტუმრო „ინტერნაციონალი“ (ყოფილი ფრანცია) სადაც დაცულია საუცხოვოთ სისუფთავე და წესრიგი. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.
№ 418—3—3 გამგეობა

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—11

ექიმი
ალექსანდრე ქორქია
მეანობა და ქალთა სნეულებანი
მიღ. ავადმყ. 4—6 ს. საღ.
პლეხანოვის პრ. № 65.
25—13.

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი
საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.
მიღება დილით 10—11 საათ, საღამოს—5—6 საათ,
25—12

გადავიდა კამოს ქუჩაზე № 17 (დიდი მთავრის ქ. ვორონცოვის ხიდის ახლოს)
მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.
მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა
25—12.

შეღავათიან ფასებში ვიძლევი
მათემატიკის
გაკვეთილებს: (არით. ალგ. გეომეტრ. და ტრიგონ.) და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5) ნახვა 9—1 ს. 3—7 ს.
ნის. 854. 5—4

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—25

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9-დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
25—23

ექიმი
ნ. ა. ჭანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 3.
№ 202.
25—16

მედიცინის დოქტორი
კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
ტერაპევტიული განყოფილებათ
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმ შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4
ნის 372 —100—62

დაკარგე წიგნაკი № 19, გურ. იაკობის ძე ხითაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
483 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ქ. თბილისის მილიციის სამმართველოდან № 1971, 1924 წ. 27 თებ. ლომინე ნიკოს ძე გაგნიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 480 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული მე-13-ე სამილიციო რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ლომინე ნიკოს ძე გაგნიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
481 1—1

დაკარგე ლანჩხუთის ტექნიკუმის სრული კურსის დამთავრების მოწმობა 1924 წლის 30 ივნისიდან № 84, ივანე ილარიონის ძე დობორჯგინიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
484 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ქ. თბილისის მუშათა-გლეხთა მილიციიდან მიღებული ალალო არტემის ძე ქანანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 485 1—1

დაკარგე თბილისის ქალაქის ლომბარდის ქვითარი № 2088, 30 მანეთის შეტანის შესახებ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 496 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა სტეფანე გასპარის ძე ავეტიკოვის და შუშანა არტემის ასულის ავეტიკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 486 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა დიანოზ დავითის ძე პეტრიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 487 1—1

დაკარგე მე, ევგენი ბესარიონის ძე წოწორიამ პირადობის მოწმობა, მიღებული თბილისის სამმართველოდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.
494 1—1

დაკარგე პარტიული ბილეთი № 494916 ფიდო გაბრიელის ძე აგაშენაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 488 1—1

დაკარგე აღრიცხვის ბარათი, მოცემული მე-2-რე რაიონის სამხედრო მაგიდიდან, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების ქაღალდი, მოცემული თბილისის სამაზრო სამხედრო კომისარიატიდან მარკოზი გიორგის ძე [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 489 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი მოცემული 1-ლი კომისარიატიდან ჯანსუღ ნესტორის ძე ფუფულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 490 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქ. № 4